...იალ-დემოკრატიული მუშათა პარტია — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 30 აგვისტო 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, — почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 184 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 184



ეროვნული ბიბლიოთეკა


ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ცენტრალური კომიტეტი და ამავე ორგანიზაციათა ლანჩხუთის რაიონის კომიტეტი გულდაწყვეტით აუწყებს ამხანაგებს, რომ ქ. ლანჩხუთში გარდაიცვალა საუკეთესო ამხანაგი სტუდენტი

## ვასო ურუშაძე

---

უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილი მამა ბეჟური, ცრემლებ-შეუშრობელი დედა სადიკო ადეიშვილის ასული ჭკუასელისა, ძმები ვლადიმერ და სერგო, რძალი პასიკო, დები კესა, პელაგი, ნინა, სიძეები მიხა გიორგაძე და მელიტონ ხუნდაძე, ბიძაშვილები ნინუცა და გიორგი ჭკუასელები, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობ-მოკეთეებს თავის უსაყვარლესი, დაუვიწყარი და უანგარო საზოგადო მოღვაწის, საუკეთესო ნუგეშის

## სიმონ ბეჟურის ძე ჭკუასელის

უდროოთ წუთისოფლის გამოსალმებას, რომელიც მოხდა 26 აგვისტოს. გამოთხოვება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 29 აგვისტოს, სოფ. ზემოხეთში (გურია) წმ. ღვთისმშობლის ეკლესიაზე. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ ბინიდან 10 საათზე (ახალ დროით). პანაშვიდი ყოველ დილასაღამოს იქნება გადახდილი მიცვალებულის სოფელში. (3—3)

---

დედა ქრისტინე ჟორდანიასი, ძმა ნოე ჟორდანია და მეუღლე ვასილ კანდელაკი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულ

## გულჩინა კანდელაკისა

დანიშნულია ლანჩხუთში კვირას, 1 სექტემბერს (ახ. სტ.). (2—1)

---

გულდათუთქულნი და მუდამ მწუხარებაში მყოფნი მშობლები, მამა ნიკიფორე, დედა ეფრაქსია, ბიძები სიმონ და ნოე სალუქვაძეები, ალექსანდრე, ნესტორ, ვანო და ისაკი ფანცულაიები, ვაუწყებთ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 31 აგვისტოს (ახალი სტილით) დღითი შაბათს 12 საათზე, ქალაქ ფოთში, ადგილობრივ სასაფლაოზედ გარდახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტის, ჩვენი ძვირფასი და დაუვიწყარი

## ვალერიან (ვალიკო) სალუქვაძის

და აგრეთვე მისი უნცროსი ძმის

## გრიგორის (გრიშას)

მეექვსე კლასის გიმნაზიელის ნახევარი წლის სულის მოსახსენებლად. 2—2

---

ღრმათ დამწუხრებული მშობლები სვიმონ ზაალის ძე და ნინო არქიპოს ასული მხეიძეები, ძმები გრიგოლ, ილია, შალვა, დავით და კონსტანტინე სიმონის ძენი, დები ქეთევან, მარიამ, ანნა და შუშანა სიმონის ასულნი, სიძეები ერასტი ივანეს ძე ბაბადოლლი, დავით ვლადიმერის ძე ჯაფარიძე, რძლები ეკატერინე, ტერეზი და ზინა მხეიძეებისა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 31 აგვისტოს დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებული

## ვლადიმერ სიმონის ძე მხეიძის (იურისტის)

პანაშვიდი გადახდილი იქნება სოფ. თერჯოლაში (შორაპ. მაზრ.) ადგილობრივ სასაფლაოზე. (2—2)

---

გულდათუთქულნი დედა თებრონე, ძმები ნიკო და გიორგი, ბიძანები სამსონ, ერმალო, ისაკი, ბიცოლები ნელინა და ეკატერინე ურუშაძეები, ბაბუა და ბებია გიორგი და ირინე ხოფერიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, 27 აგვისტოს, ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი სტუდენტი

## ვასო სიოს ძე ურუშაძე,

რომლის დაკრძალვა მოხდება ქალ. ლანჩხუთში. დაკრძალვის დღე იქნება ცალკე გამოცხადებული.

---

ანნა ურუშაძისა, შვილები მისი: ჩიტო, ვერა, ლევან და ალექსანდრე და სიძე გიორგი დოლიძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, პირველი საყვარელი მაზლისშვილის და მეორენი დაუვიწყარი ბიძაშვილის სტუდენტი

## ვასო სიოს-ძე ურუშაძის

უდროოთ დაკარგვას, რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ლანჩხუთში. დაკრძალვის დღე იქნება ცალკე გამოცხადებული.

---

დაბა ჩოხატაურში შაბათს, 31 აგვისტოს, დანიშნულია საორმოცო წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაკარგული

## სერაფიონ რამიშვილისა,

რასაც აუწყებს დამწუხრებული მეუღლე შვილებით ამხანაგებს და მეგობრებს.

---

მწუხარებით გულ მოკლული მარიამ გრიგორის ასული, პეპრონია კარლის ასული, კონსტანტინე, ნიკოლოზი, ნატალია და ლიუდმილა ფანიევები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ქ. გორში კვირას, 1 სექტემბერს სომხეთა წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადახდილი იქნება პანაშვიდი აწ განსვენებულის პირველის საყვარელი შვილის, მეორის ქმრის, ხოლო დანარჩენთა ძმის

## ევგენი ავგარის-ძე ფანიევის

სულის მოსახსენებლად.

---

ნატალია დავითის ასული, ოლღა ილარიონის ასული, დიმიტრი, გიორგი და თადეოზ ილარიონის ძენი წითლანაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა აგვისტოს 27 ს გარდაიცვალა ძვირფასი მეუღლე პირველისა და მამა დანარჩენთა, თფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი

## ილარიონ სიმონის ძე წითლანაძე.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, მიცვალებულის ბინაზე, მეორე კირპიჩნი ტუპიკი, სახ. № 3 (ბელინსკის ქუჩაზე). გამოსვენება პარასკევს, 30 აგვისტოს, დილის 9 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

---

ვასილ ერემიას-ძე და ლუბა გიორგის ასული ჭელიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი შვილის

## თამარა ვასილის ასულის ჭელიძისას.

მიცვალებულის გასვენება ბინიდგან (ხუდადოვის ქუჩა № 56) მოხდება შაბათს 31 აგვისტოს (ახ. სტ.) ნაშუადღევის 2 საათზე. დაკრძალვა იქნება კუკიის სასაფლაოზე.

---

ღრმათ დამწუხრებული მშობლები ანტონ, ოლინკა, დები ფედოსი და ხინა, ძმები ისაკო და შალვა ვაუწყებთ ნათესავთ, რომ 31 აგვისტოს, დღით შაბათს დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულათ გარდაცვალებულის საყვარელი შვილის

## ანგია კუკულავასი.

---

## საწარმოვო ძალთა მობილიზაცია

დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოვო ძალთა მობილიზაცია მეტისმეტად ნელის ნაბიჯით ხდება.

მრეწველობა-მეურნეობა, ნაციონალური სიმდიდრის შექმნა ხალხის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს და ისედაც განუვითარებელი ეკონომიური და სულიერი კულტურა ქვეითდება.

წარმოების ყველა სფეროში კაპიტალისა და შრომის ამოძრავება უმნიშვნელო მასშტაბით ხდება. ეს გარემოება ამ საერთო და მსოფლიო კრიზისის ხანაში მეტად სახიფათოა.

დაწინაურებულ ქვეყნებში უმთავრესათ ამ გარემოებას აქცევენ ყურადღებას და სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი დაწესებულებების ყურადღება აქეთკენ არის მიმართული.

ხალხის თუ ერის სიმდიდრის საუნჯეს ფული არ შეადგენს, თუნდაც ეს ფული კეთილშობილ ლითონისაგან შესდგებოდეს. საზოგადოთ ფული, ლითონისაა იგი თუ ქაღალდის, საერთო ნაწარმოების ღირებულების ეკვივალენტია, მისი დაახლოვებითი ფასების გამომხატველია და უკანასკნელის მნიშვნელობა და ღირებულება უზრუნველყოფილია საერთო ნაწარმოების რაოდენობით.

ფული და კრედიტი მუდამ და ყოველთვის წარმოებისა და ნაწარმოების გაცვლა—გამოცვლის საშუალება ყოფილა და არა თავისთავად სიმდიდრე და ხალხის უდიდესი კეთილდღეობა.

ამოდენა ფული, ეხლა რომ არის საქართართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს ხალხში არასოდეს არ ყოფილა. მიუხედავათ ამისა, ერის და მცხოვრებთა ნივთიერი და კულტურული მდგომარეობა სრული არარაობის სურათს იძლევა.

თვით სახელმწიფოებრივი კეთილშობილ ლითონის სისტემა, კარგსა და მეტად შეღავათიან პირობებში ალებული. საგარეო სესხიც კი, ჩვენს საწარმოვო ურთიერთობას ვერ აღამაღლებს და მოსახმარ საგნების რაოდენობას ვერ გაამრავლებს.

თავი და თავია საწარმოვო ძალების განვითარება და მისი აყვავება. აი რა იხსნის ჩვენს ხალხს უკიდურეს გაჭირვებულ მდგომარეობისაგან.

ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში საწარმოვო ძალთა ამოძრავებამ უმაღლეს საფეხურამდე მიაღწია, კაპიტალისა და შრომის ნაყოფიერება წარმოუდგენლათ განვითარდა. მკვდარი და უსარგებლო კაპიტალი აქ არ არსებობს, ყოველი ცოცხალი, შემოქმედებითი ძალა გამოყენებულია და წარმოების მთავარი ფაქტორები ნაციონალურ სიმდიდრეს ქმნიან.

ჩვენში სულ სხვას ვხედავთ. მთელი კაპიტალი ანუ, სწორეს რომ ვთქვათ,—ფული—სპეკულიაციისა და სავაჭრო საქმიანობის მეოხებით საზოგადოების ისეთ ჯგუფებში დაგროვდა, რომ იგი სრულიად უმნიშვნელო და უსარგებლოა. დღეს ჩვენში ფულის პატრონი უმთავრესად ბაყალ-მიკიტანია, ფულის პატრონია გლეხი და ყასაბი და ხალხის ფინანსები ამათ ხელშია მოგროვილი.

გერმანიაში კაპიტალის დაგროვება ჩქარის ნაბიჯით ხდება და წვრილსა და საშუალო მესაკუთრეებს ნიადაგი ეცლება—ჩვენში ამის ჩანასახიც არ სჩანს და მთელი ფული პარაზიტების ხელში გროვდება. გარემოება მეტად სახიფათოა და დამაქვეითებელია წარმოების განვითარებისათვის. გლეხი, ბაყალი და ყასაბი საშიშრო სპეკულიაციით მოგროვილ ფულს წარმოებას აცლის, სავაჭრო სფეროში გადააქვს და მით თავის კიდობნებს ქაღალდის ფულით ავსებს.

ასეთია გლეხის და წვრილ მოვაჭრეების საზოგადოებრივი ურთიერთობა, მისი საწარმოვო დანიშნულება იგი დახავსებული და განუვითარებელია თავისი წარმოების წესით, თავისი საზოგადოებრივი ინიციატივით და იგი ვერ ახერხებს მსხვილი წარმოების გაფართოებას.

ხსნა კი კაპიტალისა და შრომის წარმოების სფეროში ამოქმედებაშია. სწორეთ ჩვენმა მთავრობამ და საზოგადოებრივმა დაწესებულებამ ამ გარემოებას უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება. გააჩაღონ წარმოება, შექმნან საწარმოვო კაპიტალი, ჩააბან მრავალი და უსაქმოთ დარჩენილი მუშა ხელი ამ საქმეში.

ევროპაში არ დარჩენილა ისეთი შემოქმედებითი ძალა, რომელიც ნაციონალური სიმდიდრის შექმნის ნიადაგზე არ მუშაობდეს. გერმანიაში ექვსი წლის მოსწავლე ქალი და ვაჟი სიმდიდრის შექმნა-მოგვარეობას ემსახურება.

ჩვენში კი, არამც თუ ბავშვები, საუკეთესო შემოქმედებითი ძალა უსაქმოთ ქუჩაში დაყიალობს, სახელმწიფოსა და საზოგადოებას მძიმე ტვირთად დასწოლია და ხალხის პენსიონერებათ გამხდარა.

ამ გარემოებას, ვიმეორებთ, მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს. კაპიტალი და შრომა ნაყოფიერ წარმოებაში ჩადოს, სამეურნეო და სამრეწველო დარგებში გააფართოვოს და ამ გზით ხელი შეუწყოს საქონლის დამზადების გაფართოებას.

კაპიტალისა და შრომის წარმოებაში ამოძრავება—ერთად ერთი სალი საშუალებაა, რომელიც გვიხსნის პარაზიტთა საშინელ სპეკულიაციისაგან და წარმოების დაქვეითებისაგან.

სხვა საშუალება პალიატიურია და იგი ვერ განამტკიცებს ჩვენს ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას.

## რევოლიუციონური გზით

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გაყალბებულმა სოციალისტებმა ნიშანში ამოიღეს და მას ყოველ მხრივ თავს ესხმიან.

ის, რაც რუსეთში დასაგმობი და გამათახსირებელია, ამ ჯურის ვაჟ-ბატონებმა ჩვენი სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების გამაკურნებელ რეცეპტათ გამოიტანეს და ბალშევიკური საბჭოების აღდგენას მოითხოვენ.

სოციალისტურ სამოსელში გამოხვეული იმპერიალისტები რუსეთში ბალშევიზმს ებრძვიან, აქ კი მის განმტკიცებას მოითხოვენ.

სწორეთ ამაში გამოიხატება მათი პოლიტიკა—დიდი რუსეთის აღდგენა და დემოკრატიულ ნიადაგზე აშენებული სახელმწიფოების დანგრევა.

მუშათა საბჭოების აღდგენა, ძველი გზით რევოლიუციონური კლასის, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ, მუშების და გლეხების დიქტატურის გამოცხადება—ეს ისეთი საზოგადოებრივი მოვლენა იქნება, რომელიც ჩვენ ხალხს იმავე უბედურებას და ანარქიას დაატეხს, რა უბედურებაშიაც იმყოფება ამ ჟამად რუსეთის ხალხის უმრავლესობა.

რევოლიუცია უუფლებო ხალხის მიერ უფლების ხელში ჩაგდებაა და ეს უფლება მან ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების დამწიფება-განვითარებისათვის უნდა გამოიყენოს. გამარჯვებულმა ხალხმა უნდა შექმნას საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივი ორგანოები, რომლებიც საერთო ძალთა განწყობილების საუკეთესო გამომხატველი იქნებიან. დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები საზოგადოებრივი ძალთა საუკეთესო გამომხატველია და აქ, შექმნილ ბრძოლის პირობებში იჭედება დემოკრატიის ბედ-იღბალი. ძალთა განწყობილება კი დამყარებულია საწარმოვო ძალთა განვითარებაზე და კლასობრივ დიფერენციაციაზე.

აქ ხელოვნურად ამა თუ იმ კლასის საკანონმდებლო თუ სარევოლიუციო ორგანოებში გაბატონება ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებით ცვლილებას ვერ შეიტანს და ბოლოს იგივე მოგველის, რაც ბალშევიკებმა რუსეთის ხალხს მოახვიეს.

საქართველოს დემოკრატიამ დემოკრატიული ორგანო შექმნა, მან დემოკრატიული პარლამენტი გაიჩინა და მისი საზოგადოებრივი კლასების ყველა წარმომადგენლები იქ თავს იყრიან. ასეთი ძალთა განწყობილების მეოხებით იქმნება და მუშავდება დემოკრატიული კანონები და იგი ცხოვრებაში ტარდება.

სხვა გზა და ორგანოები სოციალურს და პოლიტიკურს ცხოვრებაში დიდ არეულობას შეიტანს და არ შეეფერება იმავე დემოკრატიის ინტერესებს, რომელსაც ასე უშნოთ ესარჩლებიან არამკითხე სოციალისტები. საქართველოს დემოკრატიამ და მის სათავეში მდგარმა მუშათა კლასმა ევროპიული, პარლამენტარული გზა აირჩია და ამ სწორუტყუარ გზით ცდილობს ფართო ხალხის უკეთეს წყობილების მომზადებისთვის. სხვა გზა ანარქო ბალშევიკურია და ნურას უკაცრავათ, თუ ცრუ სოციალისტების რჩევა-აგიტაციას ჩვენ ყურს ვერ დაუგდებთ. მით უმეტეს, რომ ჭეშმარიტმა დემოკრატიამ ანარქო-ბალშევიკური უტოპია სამართლიანათ დაგმო და მის მავნე გავლენას ერთხელ და სამუდამოთ ზურგი შეაქცია.

## პრესა

„საქართველო"-ს გუშინდელ ნომერში მოთავსებულ წერილიდან სჩანს, თითქოს ეროვნულ დემოკრატების პარტია, როგორც ოპოზიცია, ახალი გზით სიარულს იწყებდეს.

ჩვენ კარგათ ვიცით, თუ როგორ ალვირ-წახსნილ კამპანიას აწარმოებდა ეს პარტია თავისი ფრაქციის საშუალებით ეროვნულ საბჭოში დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა; კარგათ გვახსოვს აგრეთვე ღვარძლით სავსე წერილები ამ პარტიის ორგანოში მოთავსებული საქართველოს სოციალისტური მთავრობის წინააღმდეგ მიმართული!

ჩვენი მთავრობის მდგომარეობა იმ ხანებში ჭეშმარიტად „სერიოზული იყო; ხდებოდა თავდასხმა გარედან, თავდასხმას აწყობდნენ შიგნიდან ეროვნულ დემოკრატებიც!

ეროვნულ დემოკრატების ამ გვარ მოქმედებას, ჩვენ მაშინ სამართლიანად ვუწოდეთ მოღალატური.

„საქართველოს" თქმით მდგომარეობა ასეთი იყო:

„იყო მომენტი, როცა თითქო ახალგაზრდა სახელმწიფოს შენობას დანგრევის საფრთხე მოელოდა, მაგრამ შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა, პირველად გონება თვით, მთავრობამ მოიკრიბა, ის გამტკიცდა და გაძლიერდა შინაგნად და ბოლოს თავდაცვისაგან თავდასხმაზედაც გადავიდა".

„საქართველოს" აქედან შემდეგი დასკვნა გამოჰყავს:

„ერთხელ კიდევ დამტკიცდა ის უცილობელი ჭეშმარიტება, რომ ოპოზიცია მავნებელი არ არის არც მთავრობისა, არც მთელი სახელმწიფოსათვის. ოპოზიცია ერთგვარი გარანტიაა მთავრობის ზომიერების და სიფრთხილისა".

იმის შიშით, რომ შეიძლება ოპოზიციამ გაიმარჯვოს, გაბატონებული პარტია ყოველთვის უფრო წინდახედულია თავის მოქმედებაში".

ასე რომ, თუ მთავრობამ შესძლო შექმნილი საძნელო მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსვლა, „საქართველოს" თუ დავუჯერებთ, მისთვის დახმარებაც კი გაუწევია ეროვნულ-დემოკრატების ოპოზიციას!

ჩვენის აზრით კი, ეროვნულ-დემოკრატების უშვერმა აგიტაციამ ნორჩი რესპუბლიკის პრესტიჟს ბევრი დააკლო როგორც გარეშეთა, ისე შინაურების თვალში. ამ ნიადაგზე ჩვენი რესპუბლიკის „პატრიოტებთან" ბრძოლაში მთავრობას ცოტა ძალა არ დაუხარჯავს!

მაგრამ რაც იყო, ის წარსულს ეკუთვნის!

რას აპირობენ ეროვნულ-დემოკრატები მომავალში?

„თავის-თავად ცხადია, რომ მთავრობის პასუხის მგებლობა სრულიადაც არ ნიშნავს ოპოზიციის სრულ უპასუხისმგებლობას. ოპოზიციას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ შეიძლება ისეთი მომენტი დადგეს, როცა ის მოწოდებული იქნება თავისი სიტყვები საქმეში განახორციელოს. ამიტომ მან შეძლების დაგვარად უნდა შეზღუდოს დეკლარაციული ხასიათის ფრაზეოლოგია.

რამდენათაც დღევანდელი ხუროთმოძღვრები უხეირო ოსტატები არიან, ეროვნულ-დემოკრატიის შეცდომები შეაქვთ მათ მუშაობაში. მაგრამ მთელი შენობის დანგრევა და ახალის დაწყება, რასაკვირველია არ წარმოადგენს ოპოზიციური პარტიის განზრახვას.

„რაც უნდა იყოს, ჩვენი სამშობლო სრულიად უზრუნველყოფილი არ არის გარეშე საფრთხისაგან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სულ ახლო ჩვენს გვერდით ბაქოსა და კავკასიის მიდამოებში, ჯერ კიდევ საშიში ბრძოლა სწარმოებს. არ უნდა დავივიწყოთ,

რომ რუსეთის ბედი ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა. ბოლოს არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ჩვენი მომავალი დამოკიდებულია იმ სასტიკ იერიშებზედაც, რომელსაც შორეულ დასავლეთის ფრონტზე გენერალი ფოში და გენერალი მანჟენი ჰინდენბურგისა და გერმანელი მეფის წულის წინააღმდეგ აწარმოებენ".

ასეთი წესით მუშაობას აპირებს შემდეგში ეროვნულ დემოკრატიული პარტია, მაგრამ რას წარმოადგენს თვით ეს პარტია ამ ჟამად?

„საქართველოს" სიტყვით—შემდეგს:

„შეიძლება ეროვნულ-დემოკრატიაში მართლაც მოიპოვებოდეს გამთიშავი ელემენტები. ეს საკუთარ ძალთა ნეიტრალიზაციას გამოიწვევს და გაანელებს ჩვენ შემტევ ენერგიას. იდეურად ჩვენ არ გვესაჭიროება განწმენდის ალი. მაგრამ ჩვენი ორგანიზაციული აპარატი ოდნავ დაძველდა და დაჟანგდა და მას დიდათ მოუხდებოდა ცეცხლის ენის შეხება".

ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ამ ჟამად, თუ რა გვარათ მოხდება ეროვნულ-დემოკრატების პარტიის გაწმენდა— „ცეცხლის ენის შეხება" იქნება საკმაო თუ სხვა რამ საშვალება იქნება გამონახული,—

ჩვენთვის ჯერჯერობით ერთი რამ აშკარაა და უდავო:

არ შეგვიძლია ვირწმუნოთ რაიმე იმ სიტყვებისა, რომელიც გამომზეურებულია „საქართველოს" ფურცლებზე.

ნაციონალ დემოკრატებმა თავიანთი მოქმედებით გვასწავლეს, რომ მათს სიტყვასა და საქმეთა შორის დღემდე მუდამ იყო დიდი ზღვარი.

## მცირე განმარტება

გაზ. „ერთობის" № 182 ში მოთავსებულია წერილი „ჩინ-ორდენები". წერილის ავტორი ბრალსა სდებს სამხედრო სამინისტროს დაჯილდოვების წესში. როგორც სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის უფროსი ვალდებულათ ვრაცხ თავის თავს განვმარტო შემდეგი:

1) თანახმად ეროვნულ საბჭოს დადგენილებისა სამხედრო სამინისტრო დაჯილდოვების საკითხშიაც ხელმძღვანელობს რუსეთის სახელმწიფო კანონებით. (სამხედრო დადგენილებათა კრებული 1869 წ. რედაქ.). როდესაც ამ საკითხის შესახებ საგანგებოთ არჩეული კომისია გენ. ოდიშელიძის ხელმძღვანელობით ახლო მომავალში შეიმუშავებს დებულებებს და მას ეროვნული საბჭო მიიღებს, პიროვნული შემადგენლობის განყოფილება იმით იხელმძღვანელებს.

2) რაც შეეხება დაჯილდოვების გახშირებას, ამის შესახებ უნდა განვმარტო, რომ სამხედრო მინისტრის განკარგულებით ჯილდოს იღებს ის ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საქართველოს რესპუბლიკის სამსახურში.

ყველა უკანასკნელი დაჯილდოვება დამყარებულია მაზნიაშვილის და კონიაშვილის წარმოდგენებზე, სადაც ისინი სთხოვენ სამხედრო მინისტრს, რომ მან დააჯილდოვოს ესა და ეს მხედარი, რომელთაც თავი გამოიჩინეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამხედრო მინისტრის მიერ დაჯილდოვებულნი მსახურებენ სახალხო გვარდიაში და არა რეგულიარულ ჯარში.

ყველა წარმოდგენები ინახება სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის განყოფილებაში და ვიდრე პატივცემული რედაქცია მოათავსებდა საყვედურო წერილს სამხედრო უწყების წინააღმდეგ, რომელიც დღეს აღმშენებლობის პროცესში იმყოფება, უფრო კარგი იქნებოდა საქმის ნამდვილი მდგომარეობა გაეგო და მით სამხედრო უწყების წინააღმდეგ უკმაყოფილება საზოგადოებაში არ დაებადა.

გენერალ-მაიორი წულუკიძე.

## ერობა

**3. ერობის შენობა (ხმოსანთა კრება და საერობო გამგეობა).**

ერობა შესდგება: საერობო ხმოსანთა კრებისაგან, რომელიც, ასე ვსთქვათ, თავის ფარგლებში წარმოადგენს საკანონმდებლო ძალას და საერობო გამგეობა, როგორც აღმასრულებელი ორგანო—პირველი შესდგება ხმოსანთა კრებულისაგან, მეორე კი ამ ხმოსანთა კრების მიერ არჩეულ პირთაგან.

თუმცა ერობის დღევანდელი კანონი სავსებით არ არის ჯერ გამოქვეყნებული, ჩვენ დემოკრატიული პრინციპის მიხედვით დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გამგეობის წევრთა შემადგენლობას აირჩევს თვით საერობო ხმოსანთა კრება თავის წრიდან ,ან გარეშე პირთაგან. დემოკრატიის ინტერესები მოითხოვენ, რომ კანდიდატების მოწვევა არ იქმნას დაკავშირებული საარჩევნო ხმის უფლებასთან. ერთს რომელიმე საარჩევნო კუთხეში შემთხვევით შეიძლება დარჩეს თავმოყრილი რამდენიმე მცოდნე და გამოცდილი პირი. საქმის ინტერესი მოითხოვს ამ ძალების განაწილებას სხვა კუთხეებზე. ეს კი შეიძლება მაშინ თუ გამგეობის წევრთა მოწვევა არ იქნება დაკავშირებული ადგილობრივ საარჩევნო უფლებასთან.—ვისაც საარჩევნო უფლება აქვს, იმას გამგეობის წევრად არჩევის უფლებაც უნდა ქონდეს და არა მარტო იქ, სადაც ხმას აძლევს, არამედ იქაც, სადაც ის საარჩევნო სიაში არ არის შეტანილი. ერობის ხმოსანთა კრებები ასე უნდა მოეწყოს; წვრილი ერთეულის ხმოსანთა ჩვეულებრივი კრება უნდა ხდებოდეს ყოველ ორ კვირაში ერთხელ მსგავსათ ქალაქის თვითმართველობის —სამაზრო ერობის, ხმოსანთა კრება კი ყოველ ორ თვეში ერთხელ. არა ჩვეულებრივი კრება მოხდება საჭიროების მიხედვით ხმოსანთა კრების პრეზიდიუმის ან საერობო გამგეობის ინიციატივით.—საქმის წესიერ ნიადაგზე დასაყენებლად ხმოსანთა კრებამ უნდა აირჩიოს თავიანთ შორის ეგრედ წოდებული მომმზადებელი კომისიები—სარევიზიო, საფინანსო, სასკოლო, საკოოპერაციო—სასურსათო —სამეურნეო, საგზო სამრეწველო, მიწის საკითხის და სხვა საჭიროების მიხედვით. ამ კომისიათა ვალდებულებას შეადგენს წინასწარი განხილვა, დამუშავება და თვისი დასკვნის გამოტანა ყველა იმ საქმეებზე, რომელთაც გადასცემს მათ საერობო გამგეობა განსახილველად. წვრილი ერთეულის ხმოსნები სამოქმედო რაიონის შედარებითი სივიწროვის გამო ტეხნიკურათ უფრო მოახერხებენ გამგეობასთან მუდმივ თანამშრომლობას. ასე ვერ მოიქცევა სამაზრო ერობის კომისიები, ამიტომ პირველი თუ ხშირად შეიკრიბება, მეორეებმა პერიოდულად უნდა მაინც მოახერხონ შეკრება. საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ ყველა შედარებით სერიოზული ხასიათის საკითხი წინასწარ იხილებოდეს კომისიაში და მხოლოდ შემდეგ მოხსენდეს ის ხმოსანთა სხდომას გამგეობის და კომისიის დასკვნით. ამიტომ სამაზრო საერობო ხმოსნების კრებას უფრო სესიის ხასიათი უნდა ქონდეს; ამასთანავე თუ მაგალითად 15 აგვისტოს უნდა გაიხსნას სხდომები—ხმოსნები უნდა შეიკრიბონ ერთი დღით ადრე მაინც, რომ განიხილონ კომისიებში თავიანთი კომპეტენციის საკითხები და ამ სახით წარსდგენ მეორე დღის სხდომაზე. მაშინ კრებაც ნაყოფიერი იქნება, დროც მოიგება და საქმეც უკეთ მოგვარდება. საერობო გამგეობის წევრებმაც უნდა გაინაწილონ ურთიერთ შორის შრომა. თითოეულ მათგანს უნდა დაეკისროს კოლლექტიურ პასუხისგებასან ერთად ერთის ან რამდენიმე დარგის პასუხისმგებელი გამგეობა. ერობის შედგენისთანავე უნდა მოეწყოს შემდეგი განყოფილებანი: საკანცელიარიო, საბიუჯეტო საბუღალტერო და საამშენებლო-სამეურნეო. პირველი განყოფილების გამგე იქნება პირდაპირი და ორკეცი პასუხისმგებელი ჟურნალების და ოქმების, მიწერ მოწერის და საზოგადოთ საკანცელიარიო საქმის წარმოებაში. მეორე ნუსხის შედგენის, გადასახადების მოწესრიგების და ბუღალტერიის კარგად დაყენებაში. ამასვე შეიძლება პირველად მიენდოს სტატისტიკური ცნობების შედგენა და ამ ნაწილის გამგეობა. მესამე პასუხს აგებს გზების გაყვანის, ქუჩების მოკირწყლვის, შენობათა გეგმაზე აგების, განათლების მოწყობის და სხვა ამ გვარ კეთილ მოწყობილებათა საქმეების კარგათ დაყენებაში. ყველა ესენი კი კოლექტიურათ არიან პასუხისმგებელნი ხმოსანთა კრების წინაშე. როგორც მისი ერთად ერთი აღმასრულებელი ორგანო. უფრო დაწვრილებით გამგეობისა და კომისიების ვალდებულებანი უნდა იქმნას აღნუსხული იმ წესდებაში, რომლის შემუშავება შეადგენს ხმოსანთა კრების, როგორც ამ სფეროში საკანონმდებლო ორგანოს, ვალდებულებას.

ამნაირათ, საერობო ხმოსანთა კრება მათი მოსამზადებელი კომისიებით, როგორც საკანონმდებლო დაწესებულება საერობო საქმეებში და საერობო გამგეობანი, როგორც ამ კრებათა ერთად ერთი აღმასრულებელი ორგანო თავიანთი განყოფილებებით—აი ჩვენი ერობის შენობა. თუ რა უფლებებით სარგებლობს ეს საერობო სხეული ამას დავინახავთ შემდეგი წერილიდან.

ვ. ღ.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

28 აგვისტო.

**ბერლინი.** სამხედრო მოხსენება. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის და გენერალ ბოინას ჯარები. ლანგერმანკისა და ლისის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგის ნაწილობრივი იერიშები მოგერებულ იქნა. ინგლისელთა შემოტევის სიმძიმის ცენტრი იყო ადგილი, რომელიც მდებარეობს სკარპის სამხრეთით. მოწინააღმდეგემ შემოიყვანა ჯავშნოსნები და კანადის ქვეითა ჯარი და შეეცადა ფრონტის გარღვევას არრას-კამბრის შარა გზასთან. ჩვენმა შეერთებულმა პოლკებმა მათი შემოტევა პელვასის აღმოსავლეთით მოიგერიეს. მოწინააღმდეგემ გუშინ დიდი ზარალი ნახა, მოწინავე თხრილებიდან ბევრი მათი ჯავშნოსანი დახვრეტილ იქნა.

**ბერლინი.** გერმანელ კრონპრინცის არმია. ვესლაზე მეკლენბურგელმა გრენადერებმა მათის უფროსის ობერ ლეიტენანტ ბელლეკის შემწეობით ამერიკელთა იერიშები ბაზოხის წინააღმდეგ. ბადენის ჯარებმა აიღეს ფისმეტი, მდებარე ვესლის ჭალაში. ორივე ოპერაციის დროს ამერიკელებმა დიდი ზარალი ნახეს და ჩვენ დაგვიტოვეს 250 ტყვე. არგონების მთებში ჩვენი იერიშების წყალობით ტყვეთ ჩაგვივარდენ იტალიელები.

**ვენა.** სამხედრო მოხსენება, იტალიის ფრონტი. მთიან ადგილებში სწარმოებს მზვერავთა მარჯვე მოქმედება.

ალბანეთის ფრონტი. მოწინავე რაზმთა შეტაკების დროს, ჩვენ დაგვრჩა ქვეითა ჯარის ტერიტორია.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ზღვის ნაპირიდან მდ. იორდანემდე უმნიშვნელო მოქმედებაა ორივე მხრიდან. იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირთან ძლიერ საარტილერიო ბრძოლას აწარმოებს მტერი. გელ-მინრისთან შემჩნეულია მტრის მოძრაობა. მდ. იორდანეს სათავესთან მტრის მზვერავები გავფანტეთ. სამხრეთ ტუბიკთან მოვიგერიეთ მოწინააღმდეგენი. მტრის მფრინავებმა ჰაეროპლანებიდან 28 აგვისტოს სტამბოლში ჩამოჰყარეს ყუმბარები და საპროპაგანდო ფურცლები. ყუმბარებმა დიდი ზიანი ვერ მიაყენეს ქალაქს. იმსხვერპლა 1 ბავშვი და 11 კაცი დაიჭრა.

**პარიზი.** მთელი დღის განმავლობაში ფრანგები განაგრძობდენ წინა დღის შეტევას დამთავრებას (გამოტოვებულია). მოქმედება სწარმოებდა სომის მარცხენა ნაპირას სემანკურტიდან ვესლის აღმოსავლეთ მდებარე ნაწილამდე. ფრანგებმა ერთი დღის განმავლობაში 10 კილომეტრით წინ წაიწიეს. ტყვეთ წამოვიყვანეთ 500 კაცი.

**თფილისი.** ულუხანლუდან მიღებულ უკანასკნელი ცნობებით ოსმალთ თავრიზში გადაჰყავთ გუმბრ-ჯულფის რკინის გზით ჯარები სამი დღე და ღამე ეშელონი ეშელონზე მიდის ტყვისმფრქვევლებით და სხვადასხვა სისტემის ზარბაზნებით.

## ახალი ამბები

**დღეს** საღამოს 7 საათზე შესდგება საბიუჯეტო საფინანსო კომისიის სხდომა ყველა ფრაქციების წარმომადგენლების მონაწილეობით. გასარჩევია კითხვა გერმანიასთან ხელშეკრულობის შესახებ. წევრების დასწრება აუცილებელია.

✦ **ჯარში გაწვევა.** გადაწყვეტილია ჯარში გაიწვიონ მუსულმანთა გამოკლებით, ყველა ის ახალგაზდები, რომლებიც დაბადებულნი არიან 1895—1899 წლებში. ჯარში გასაწვევი ახალგაზდები უნდა გამოცხადდენ 10 სექტემბრამდე. ვინც ამ დღეებში არ გამოცხადდება დეზერტირად იქნება გამოცხადებული და გადაეცემა სამხედრო ტრიბუნალს.

✦ **ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის** მინისტრებმა სამთო სამართველოს რწმუნებულს განუმარტეს, რომ საქართველოში ნავთის მწარმოებელთ ამა თუ იმ გარანტიის და საგანგებო შეღავათიან პირობების მიცემის საკითხი არსებითად განხილულ იქნება ცალ-ცალკე მწარმოებლის თხოვნის მიხედვით.

✦ **შინაგან საქმეთა მინისტრის** მოხსენებით მთავრობამ დაადგინა პროტესტი გამოუცხადოს ბაქოს, მთავრობას ქართველების ჯარში გაწვევისათვის.

✦ **ხოლერა.** უკანასკნელ დღეებში ქალაქის საავათმყოფოში მიიყვანეს სხვა და სხვა უბნებიდან 4 ხოლერიანი და 5 ხოლერის ნიშნებით ავათმყოფი. გამოეწერა 1 და გარდაიცვალა 8 კაცი; სულ იმყოფება 79 ხოლერიანი და 13 საეჭვო.

✦ **ფინანსთა სამინისტროს** კანცელარია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ საკითხი შესახებ სახაზინო პალატების გაუქმებისა ფინანსთა მინისტრის სა... ჭოში [illegible] ზინო პალატების გაუქმება და მათ მა... გიერ თბილისში დაარსება პირდაპ... გადასახადებისა და სახელმწიფო ხაზ... ნის მმართველობისა.

✦ **გეოლოგიური გამოკვლევა.** სამთო სამმართველოს შედგენილი ა... გეგმა საქართველოს მადნეულ ადგილ... ბის სისტემატიური გეოლოგიური მოკვლევისა. ამ ჟამად 2 გეოლოგიუ... პარტია მუშაობს. 1) ინჟ. კონიბეცკ... და ქიმიკოსის მ. შალამბერიძის მეთა... რობით. ტყიბულ-საჩხერის რაიონში ... აზრად აქვთ შეადგინონ გეოლოგიუ... ქარტა ქვა-ნახშირისა ისე, როგორც ... გალითად არის დონის რაიონში, ... გეოლოგიის გ. ციციშვილის მეთაუ... ბით მუშაობს პარტია, კახეთისა და ... რიის ნავთიან ადგილებში, ამას მიზნ... აქვს დანიშნოს ეხლავე ადგილები, ... დაც შეიძლება ნავთიან ჭების დამუ... ვება. გარდა ამისა გამოჰყონ ის ადგ... ლები, რომელნიც უეჭველად შეიცავ... ნავთს.

✦ **ქურდობა.** 27 აგვისტოს ღამ... ფონდოევის ბინიდან, კრილოვის ქუ... № 10, წაიღეს რამოდენიმე ათასი მ... ნეთის ღირებული ნივთები. დააპატიმრ... ფონდოევის ნათესავი გაიბოვი და ... რონი როოპი, რომლებსაც აღმოაჩნდ... მოპარული ნივთები.

✦ **დატუსაღება.** შინაგან საქმეთ... სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრ... ბულ რაზმმა დაატუსაღა ივ. შლეი ზინ... გერი კონტრ-რევოლიუციონურ მოქმ... დებისათვის.

✦ **25 აგვისტოს საღამოს მე-11** ... მისარიატის რაიონში აღმოაჩინეს მკვდ... რი სერგო კაკაშიძის გვამი, რომელს... რამოდენიმე ჭრილობა აღმოაჩნდა.

✦ **თფილისის სახალხო უნივერს...** ტეტში. თფილისის სახალხო უნივერს... ტეტის გამგეობამ სთხოვა თფილისშ... დაბრუნებულ ლ. ი. სამინსკის, სისრ... ლეში მოიყვანოს მათ მიერ შემუშავ... ბული გეგმა თფილისის სახალხო უნ... ვერსიტეტთან სახალხო კონსერვატ... რიის გახსნის შესახებ. სამინსკიმ მიი... ეს წინადადება და დაიწყო მუშაობა ს... ხალხო უნივერსიტეტთან სახალხო ... სერვატორიის გახსნის შესახებ. ყოვე... ნაირი პირობები კონსერვატორიის შ... სახებ გამოცხადებული იქნება 1 სე... ტემბრიდან.

✦ **მიხეილის საავადმყოფოში,** რო... გორც გადმოგვცემენ უწინ კვდებოდ... ავადმყოფთა 5—6 პროცენტი, ეხლა ... 12—15 პროცენტამდე, რაც გამოწვ... ულია ცუდი მოვლით.

✦ **დღეს საღამოს 7 ნახ.** საათ... ცენტრალურ სახალხო უნივერსიტეტ... შესდგება თათბირი მომავალი 18—1...

## სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია

(ნოე ჟორდანიას მოხსენება).

### I შესავალი

პირველად საქართველოს სოციალ-დემოკრატიას უხდება მთავარი როლის ასრულება თანამედროვე სახელმწიფოს აშენების საქმეში. ჯერ არსად არ ყოფილა ასეთი მაგალითი. დღემდე სოც.-დემოკრატია მხოლოდ ღებულობდა მონაწილეობას კანონების გამოცემაში, ან როგორც სახელმწიფოს ბატონ პატრონი—მაგ. ფინლანდიაში, შვეიცარიის ზოგიერთ კანტონებში, გოტის სამთავროში, და უმრავლესობაზე ახდენდა ერთგვარ ზეგავლენას, რომ გამოცემულიყო კანონები სოციალ დემოკრატიის მსოფლმხედველობასთან შეფარდებით. მე-19 საუკუნეში შეიქმნა ზოგიერთი ახალი სახელმწიფოები ძველ სახელმწიფოებიდან გამოყოფით: მაგ. ბელგია გამოეყო ნიდერლანდს, სერბია, ბულგარეთი და სხვ. ბალკანეთის სახელმწიფონი—ოსმალეთს, იტალია—ავსტრო უნგრეთს და სხ., მაგრამ ეს სახელმწიფონი შექმნეს ბურჟუაზიულმა პარტიებმა, ხოლო სოციალ-დემოკრატია არდგენდა თავის მინიმალურ მოთხოვნილებებს და თანდათანი ბრძოლის საშვალებით აუმჯობესებდა ამ სახელმწიფოთა მდგომარეობას.

ჩვენ კი სახელმწიფოს ვაშენებთ არა მარტო კანონების გამოცემით, არამედ—ჩვენი სისხლითაც. ჩვენი სახალხო გვარდია და შეგნებული მუშები, როგორც თფილისისა ისე პროვინციის, განსაკუთრებით თფილისის—აი, ვინ არის ნამდვილი სახელმწიფოს აღმშენებელი. ჩვენც და მათაც უფლება აქვთ იკითხონ: რათ და რისთვის, რომელი იდეალების გულისთვის ვღვრით სისხლს და ვმუშაობთ დაუღალავად საქართველოს სახელმწიფოს აშენების საქმეში? ჩვენ ვართ არა მარტო სახელმწიფოს უბრალო ამშენებლები, არამედ—სოც. დემოკ. მშენებლები ე. ი. ჩვენ ვართ ისეთი ხალხი, რომელიც განსაზღვრული პოლიტიკური აზრით და მიზნებით ვაწარმოებთ პოლიტიკას. ამიტომ საჭიროა [illegible] როგორ [illegible] დემოკრატიული მსოფლ-მხედველობა და მუშაობა ბურჟუაზიულ დაწესებულებათა შესაქმნელად. როგორ მოვახერხოთ, რომ ამ პროცესში პარტია არ გადაცდეს თავის გზას და არ გადაიქცეს წვრილ ბურჟუაზიულ პარტიად.

ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები გაზეთ „სოციალ დემოკრატიდან" ჭეშმარიტების გზიდან ჩვენს აცდენას ხედავენ იქ, სადაც ეს არ შეეძლო დაენახა არას დროს არა თუ სალათ მოაზროვნე სოც.-დემოკრატს, არამედ—უბრალო, გულწრფელ დემოკრატს.—ეს შემცდარი გზა მათის აზრით საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადების ფაქტიდან მტკიცდება. მათ სერიოზულად დაიწყეს დავა თვითგამორკვევის უფლების პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარების ნიადაგზე. როგორც ეტყობა, ინტერნაციონალის ამგვარ მოთხოვნას სასიცოცხლო მნიშვნელობას არ აკუთვნებენ. ნამდვილათ კი სოციალ დემოკრატიული გზიდან აცდენის შესაძლებლობას პარტიისთვის შეიცავს არა ეს აქტი, არა დამოუკიდებლობის გამოცხადება, ვინაიდან ასეთ ნაბიჯს სოციალისტს შეუძლია მხოლოდ მიესალმოს, არამედ—ასეთი გზიდან აცდენა მოსალოდნელია თვით სახელმწიფოს შენების პრაქტიკულ ნიადაგზე. მარქსისტისთვის მხოლოდ აქ შეიძლება დაიბადოს ეჭვი და გაუგებრობა, ამიტომ აქეთკენ მივაქცევ თქვენს ყურადღებას. მაშ, რისთვის ვაშენებთ ჩვენ საქართველოს სახელმწიფოს?

**2) სახელმწიფო საზოგადოთ.**

სახელმწიფო მენგერის გამოკვლევით არის განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა შეერთება, რომლებიც საერთო მთავრობის ქვეშ იმყოფებიან. ეს ასე ვსთქვათ სახელმწიფოს შემეცნების გარეგნული განსაზღვრაა, რომელიც არაფერს არ ამბობს მის შინაგან შინაარსზე. აქედან მხოლოდ ის სჩანს, რომ დამახასიათებელი ნიშანი - ყოველი სახელმწიფოსი —ცხოვრების ტერიტორია და მთავრობა. იქ, სადაც არ მოიპოვება ერთი აქ მოყვანილ ნიშანთაგანი, არ არის არც სახელმწიფო. მაგრამ ჩვენ, მარქსისტებმაც ვიცით, რომ სახელმწიფო საზოგადოების კლასებათ დაყოფის ნიადაგზე აღმოცენდა და სახელმწიფო არის პოლიტიკური ორგანიზაცია გაბატონებული კლასებისა. აი ეთია სახელმწიფოს ბუნება. სახელმწიფოსთან შესაძლებელია იყოს ორნაირი დამოკიდებულება: უარყოფითი და დადებითი, ე. ი. ან უნდა უარვყოთ სახელმწიფო, როგორც ჩვენთვის უკეთური, მზაკვარი, როგორც ამას ანარქისტები სჩადიან, ანუ უნდა ვაღიაროთ სახელმწიფო საზოგადოების განვითარების უმთავრესს ფაქტორად და ვეცადოთ გამოვიყენოთ ის საკუთარი მიზნებისათვის, როგორც სოციალისტები შვრებიან. პროლეტარიატი სავსებით სდგას სოციალიზმის თვალთახედვის ისარზე და იბრძვის თავის გასანთავისუფლებლათ ამ ძალის დასაპატრონებლათ.

ჩვენ კი საქართველოში როცა ეს ძალა გვაქვს, შეიძლება სახეში ვიქონიოთ სოციალური რევოლიუცია, როგორც მიზანი და როგორც ისტორიული პერსპექტივა, და არა, როგორც პირდაპირი პრაქტიკული საგანი. ამ პერსპექტივით განსხვავდებით ჩვენ ყველა ბურჟუაზიულ პარტიებისაგან, რომელნიც მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო დაწესებულებათა აშენების საქმეში იმ მიზნით, რომ განამტკიცონ კაპიტალისტური საზოგადოება და გაამუდმივონ დაქირავებული შრომა. ამ რიგათ ჩვენ სახელმწიფოს ვუყენებთ გარკვეულ ნათელ მიზანს: საზოგადოების სოციალურ ნიადაგზე გარდაქმნას. მაგრამ, როცა ამ მიზნისაკენ მივისწრაფით, მაშინ აუცილებლათ უნდა გავიაროთ საჭირო პოლიტიკო-ეკონომიური საფეხურები. ამ საფეხურებს ჩვენ გვერდს ვერ ავუხვევთ, ვერც ნახტომებს გავაკეთებთ, ამის უფლებას ისტორია არ იძლევა. ეს საფეხურები შემდეგია: ძველი რეჟიმის დამხობა და ახალი დემოკრატიული წყობილების დამყარება. კაუცკი ამბობდა, რომ პირველი ნაბიჯები ძლევა მოსილი პროლეტარიატისა იქნება არა სოციალური გადატ[illegible]ალება, არამედ დემოკრატიული დაწესებულებათა დამყარება, პროგრამა მინიმუმის ცხოვრებაში გატარება და შემდეგ კი თანდათან პროგრამა მაქსიმუმზე გადასვლა. მხოლოდ ჩვენმა თავისებურმა სოციალისტებმა, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან თავისუფალნი ნაროდნიკული ცრუმორწმუნოების ბადისაგან, პირველი საფეხური უკანასკნელ საფეხურათ ჩასთვალეს, დემოკრატიული რევოლიუცია სოციალურ რევოლიუციად მიიღეს, როგორც ეს 1848 წ. საფრანგეთში ბლანკის და ლუი ბლანის სკოლის სოციალისტებმა მოიმოქმედეს. ერთი სიტყვით ბალშევიკებმა მოინდომეს ერთი საფეხურიდან მეორეზე გადახტომა, ერთი შეხტომით ძველი რეჟიმის სამეფოდან სოციალიზმის სამეფოში შესვლა, გვერდი აუხვიეს დემოკრატიას, მოატყუეს ისტორია, მაგრამ თვითონვე დარჩენ მოტყუებულნი, დემოკრატიის უარყოფით მიიღეს არა სოციალიზმი, არამედ ვანდალიზმი.

სახელმწიფოს თავისთავად მიზანი არ აქვს, მას მიზანს აძლევს ის კლასები, რომელთაც ის ხელში უჭირავთ. ძველი რეჟიმის დროს, თავად აზნაურობის ბატონობის ხანაში სახელმწიფოს მიზანი თავად აზნაურული იყო, ეხლა კი ბურჟუაზიის ბატონობის ხანაში მიზანიც ბურჟუაზიულია, ე. ი. ის მოქმედებს იმ კლასების სასარგებლოთ, რომელნიც არიან მისი ბატონ-პატრონი. მაგრამ სახელმწიფო თავის პატრონებისათვის მოქმედობენ მხოლოდ ისტორიულ შესაძლებლობის ფარგლებში. თუ კი, მაგალითად ინგლისის სახელმწიფოს მოვახვევთ თავზე თავად-აზნაურულ მიზნებს, მაშინ ამ მიზნების გატარება შეუძლებელი შეიქნებოდა და აქედან გამოვიდოდა ან რევოლიუცია, ანუ ანარქია. ბალშევიკების შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ვერ შეითვისეს არამც თუ მარქსიზმის ელემენტარული ჭეშმარიტება, არამედ მთელი ის მეცნიერებაც, რომ საზოგადოება როგორც ბუნების ნაწილი, მოძრაობს აუცილებელი ისტორიული კანონების თანახმათ და წარმოიდგინეს გაუსწორებელი იდეალისტებსავით, რომ შეიძლება სახელმწიფოს როგორიც გინდა ისეთი მიზანი დაუყენო, ის მას განახორციელებს. ამ წინააღმდეგობამ, რომელმაც [illegible] ბალშევიკურთა მიერ რუსეთის სახელმწიფოსადმი წარდგენილ მიზანსა და მის განხორციელების შეუძლებლობაში, გამოიწვია რუსეთის სახელმწიფოს დანგრევა და საუკუნოებით შექმნილ ქონების დატაცება.

აი ჩვენ, საქართველოს სახელმწიფოს პატრონებმა, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, მაინც უნდა დავახწიოთ თავი ამ დაღუპველ წინააღმდეგობას ისე, რომ ოპორტიუნიზმში არ ჩავვარდეთ. ეჭვი არ არის, რომ ყველა სახელმწიფო ბურჟუაზიულ საზოგადოების ფარგლებში, ასეა თუ ისე, ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებს. ამას ვერას გზით თავს ვერ დაახწევს საქართველოს სახელმწიფო. ამისთვის თავის დაღწევა—ეს უტოპია და ამიტომ ჩვენ ამას სრულიად არ ვცდილობთ. მაგრამ არა უტოპია, არამედ რეალურ შესაძლებლობას ვისახავთ მიზნათ ავაშენოთ ისეთი სახელმწიფო, რომელიც რაც შეიძლება მეტს იმოქმედებს ნაკლები მქონე და არა მქონე კლასების ინტერესებისათვის. ამ მიზნის მიღწევა შეადგენს ჩვენს საქმეს, სანამ ჩვენ ძალა - უფლება ხელში გვაქვს. შესაძლებელია თუ არა ამას მივაღწიოთ? შეიძლება ჩვენც მიზნათ ახალ უტოპიას ვისახავთ, ვნახოთ.

**3) ქართველი საზოგადოების სტრუქტურა.**

სახელმწიფო იქმნება არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობისაგან და ის იცვლება ამ ურთიერთობის შეცვლის თანახმად. სახელმწიფოებრივ ურთიერთობის მხრივ საქართველო არის tabula zasa (სუფთა ფიცარი), ის არ არის შებოჭვილი არც ნაციონალური სახელმწიფოებრივი იდეოლოგიით, არც დამკვიდრებული არც სახელმწიფო ტრადიციებით. ჩვენი სახელმწიფო მოკვდა ასი წლის წინეთ, მისგან არაფერი არ დარჩენილა, რუსულ სახელმწიფოებრივობა ჩვენ უარვყავით, ერთი სიტყვით, ჩვენ პოლიტიკურათ არაფრით არა ვართ შებოჭვილი სახელმწიფოს აშენების საქმეში, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ საკუთარი ჟინიანობით შეგვიძლია ვაშენოთ ყველა ის, რაც მოგვესურვება. ჩვენ აქ გვბორკავს კლასობრივი სტრუქტურა ნაციისა და აქედან გამომდინარე საზოგადოებრივი ურთიერთობანი. რუვოლიუციამ საბოლოო მახვილი ჩას... საქართველოში ისედაც შერყეულ თ... ვად აზნაურულ წოდებას და მას მამ... ლებიც ჩამოაცალა, სოციალ-დემოკრ... ტიის დაუდეგარი ბრძოლის მეოხები... პოლიტიკურად ეს წოდება რევოლი... ციამდეც დაუძლურებული იყო. მი... აღდგენა ეკონომიურად და რამოდენ... მეთ პოლიტიკურათ შეუძლია მხოლო... გარეშე ძალას, ე. ი. საქართველოს დ... მოუკიდებლობის მოსპობით, რადგან... შიგნით საქართველოში ამ წოდებას არ აქვს არავითარი ნიადაგი და ძალა, რო... რევოლიუციის მონაპოვრებს ლიკვიდ... ცია უყოს. ყველა ის, ვინც წინააღმდ... გია ჩვენი დამოუკიდებლობის და მომ... რეა გარეშე ძალის, ჩვენს შინაურ საქმ... ში ჩარევის, აკეთებს კონტრ რევოლ... ციონერების და თავად აზნაურულ მ... წათმფლობელობის საქმეს. სკოროპა... სკები ჩვენში არ შეიძლება იყოს, რად... განაც არ არის ის კლასი, ანუ ფართ... წრე „ხლებორობებისა", რომელთაც შე... ლება ქონდეთ სოციალური ნიადაგი მო... უმზადონ რეაქციას.

ერთი სიტყვით, თავად აზნაურ... როგორც სოციალური ძალა, ქართვე... ერს ჩამოსცილდა, და ამ მკვდარ სხეუ... რასაკვირველია, არ შეუძლია შექმ... ბაზა შინაური კონცენტრაციისათვ... მას ან ზოგიერთ მის გავლენიანი წევრ... შეუძლიანთ ასრულონ ერთგვარ... უარყოფითი როლი დამოუკიდებლობ... წინააღმდეგ, რადგანაც, რა წამს რუ... სეთში ცარიზმი აღსდგება, ეს დრო ... შორს არ არის, ჩვენი თავად-აზნაურ... ბა მას დასახმარებლად მოიწოდებს.

მხოლოდ ამ მხრივ წარმოადგენს ... ჩამოგდებული წოდება საშიშროებას.

საქართველოში არ არის ძლიერ... ბურჟუაზია, რომელსაც შეძლება ქო... დეს აიღოს ხელში ძალა უფლება ... ააშენოს თავის მზგავსი სახელმწიფო. ... კლასი იმდენათ სუსტი და განუვითარ... ბელია, რომ ვერ შესძლო ბურჟუაზიულ... პარტიის დაარსებაც.

ნაციონალ დემოკრატები ამ მისია... აცხადებდენ პრეტენზიას. მაგრამ აღმ... ჩნდა, რომ თავად-აზნაურობის პარტ... არიან. როგორც ხედავთ ეს ერი ... ბი—თავად-აზნაურობა და ბურჟ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...სწავლო წლის მეცადინეობის პრო-...ის შემუშავების შესახებ.

...თფილისში ასოთ-ამწყობთა ნაკ-...ობაა.

**ფინანსთა მინისტრის** მოხსენებით ...რობამ დაადგინა ადერბეიჯანის ...რობასთან ზონების შესახებ ისეთი-...ლშეკრულობა დასდოს, როგორიც ...რთველოსა და სომხეთის მთავრობას ...ს არის.

**ნავთის აღმოჩენა.** ი. ფანცულაიას ...ატივით ნატანების ახლო ოსმალ-...საზღვართან აღმოაჩინეს 50 ათასი ...მდე ნავთი.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

...ღეს, 30 აგვისტოს, საღ. 6 საათზე ...სავაჟო გიმნაზიაში (უდელის ქუჩა ...) დანიშნულია მე 4 რაიონის ქალ-...ორგანიზაციის ს.-დ. მ. პ. საერთო ...ა. დღის წესრიგი: 1) სამი წარმო-...ენლის არჩევა ქალთა ორგანიზაცი-...ცენტრალურ კომიტეტში, 2) მდივ-...არჩევნები, 3) საფინანსო კომისიის ...ტებითი არჩევნები, 4) მიმდინარე ...ვები.

...ღეს, 30 აგვისტოს, საღ. 6 საათ-...შესდგება კრება პროფესიონალურ ...ირთა საბჭოისა. საბჭოს პრეზიდიუ-...უცხადებს მადლობას მემუსიკეებს, ...ლებთაც მიიღეს მონაწილეობა სე-...ტარიატის წევრის ა. ს. ლანდიას და-...ლავებაში.

...კოოპერატიულ სექციის ბიურო ...ადებს, რომ თფ. კოოპ. კავშირის ...ზე (სასახლის ქ. № 5) დანიშნულია ...აგვისტოს, საღ. 7 საათზე კოოპე-...ივებში მოსამსახურეთა საერთო ...ა. გასარჩევია საყურადღებო კითხ-...ი.

## ქალაქის საბჭო.

(28 აგვისტოს სხდომა)

...ავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. ...რველათ საბჭო ისმენს მოხსენებას ...ბობ მასალის ნაკლებობის შესახებ. ...თავი ნ. ელიავა მოახსენებს საბ-...რომ მაზუთი ქალაქს ძრიელ ცო-...ლა დარჩა. პირველ ოქტომბრის შემ-...იძულებული ვიქნებით ქალაქის ...ასხვა დაწესებულებებს და მცხოვ-...თ ელექტრონის ენერგია მოუსპოთ. ...გამგეობამ მიიღო ყოველივე ზო-...თა გამოენახა საშვალებანი კრი-...ს თავიდან ასაცილებლათ. მოწვეუ-...ქნა სპეციალური კომისია და ამ ...სიასთან შეთანხმებით გადავწყვი-...ქალაქში დარჩენილი ყველა მაზუ-...გადავიდეს ქალაქის თვითმართვე-...ის განკარგულებაში. უკანასკნელი ...აწილებს ყველა ელექტრონის სად-...ებს თანასწორათ და მიზან შეწო-...თ. განზრახულია დაარსდეს სპეცი-...ური საუბნო ტეხნიკური კომისიები, ...ელნიც მოაწესრიგებენ ელექტრონის ...ერგიის სწორ განაწილების საქმეს. ტეხნიკურ კომისიის შტატის შენახვა ხარჯებს გამოიწვევს. ამის გამო იძულებული გავხდებით დავაწესოთ გადასახადი ელექტრონის ენერგიაზე.

ამავე საგანზე ვრცელ მოხსენებას აკეთებს ხმოსანი **ხუდადოვი.** იგი აღნიშნავს, რომ საჭიროა დროზე მივაქციოთ სათბობ მასალის ნაკლებობას ყურადღება, რათა ერთ მშვენიერ დღეს ქალაქის ქუჩები ბნელეთმა არ მოიცოს. ქალაქს შეუძლია გაანათოს ქუჩები მხოლოდ 5 ოქტომბრამ. ამ კრიზისის თავიდან დროებით მაინც ასაცილებლათ საჭიროა შევუმციროთ ელექტრონის ენერგია იმათ, ვინც ბევრს ტყუილ-უბრალოთ ხარჯავს. ჩვენ ამ ზ.ამებისთვის წინათვე უნდა მიგვემართა, როგორც მოიქცენ არამც თუ ევროპის სახელმწიფოებში, არამედ რუსეთშიაც. ელექ. ენერგიის შემცირება ქალაქს ეკონომიას მისცემს სათბობ მასალის მხრივ ნახარჯის ორ მეხუთედს. ქალაქ თფილისს ბევრი ელექტრონის სადგურები აქვს, მაგრამ კარგათ ტეხნიკურათ დაყენებული კი ძლიერ ცოტაა.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა ქალაქის ტრამვაის სადგური შეშით გავათბოთ და გავანათოთ, რადგანაც ტყიბულის ნახშირი გასათბობათ უვარგისიაო. ტრამვაის სადგურს შეუძლიან გაანათოს მთელი ქალაქის ქუჩები. დასასრულ გამგეობამ წარუდგინა საბჭოს დასამტკიცებლათ სავალდებულო დადგენილება ელექტრონის ენერგიის სარგებლობის შესახებ: 1) ნება დართულია თითო ოთახზე ერთი ლამფა 25 სან. ძალიანი. 2) აღკრძალული აქვთ, რესტორანებს, მაღაზიის პატრონებს, სასტუმროებს, საპარიკმახეროებს და აგრეთვე მცხოვრებლებს მოახმარონ ელექტრონის ენერგია სხვა და სხვა მიზნებისთვის გარდა განათებისა. 3) მაღაზიებს და სხვადასხვა გასართობ დაწესებულებებს ნება აქვთ თითო კვადრატიულ საჟენზე 4 სანთლის ძალის ენერგია ჰქონდეთ. 4) სასწავლებლებს, სამკითხველოებს და აგრეთვე სხვა კულტურულ დაწესებულებებს ნება აქვთ თითო კვადრატიულ საჟენზე 6 სანთლის ძალის ენერგია დახარჯონ, 5) ეკრძალებათ „ვიტრინების“ განათება ყველას გარდა თეატრებისა. 6) ბაღებში თითო კვადრატიულ საჟენზე ნება აქვთ იქონიონ 1 სანთლის ძალის ენერგია. 7) ლამფებს ქალაქის კომისიის ბეჭედი ექნება დაკრული. ვინც სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს, კომისიას ნება აქვს ელექტრონის ენერგია მოუსპოს. 8) ვინც განზრახ არ შეასრულებს სავალდებულო დადგენილებას, მას მე 29 მუხლის ძალით მოუსპობენ ენერგიას.

საბჭომ მცირე კამათის შემდეგ მიიღო მოხსენება ქალაქის გამგეობისა. რიგს გარეშე ქალაქის თავი აცნობს ხმოსნებს, რომ იგი ვალდებულად სთვლის თავის თავს ამცნოს ხმოსნებს ქალაქის წყლის სადენის მდგომარეობა. ამ ორი დღის წინათ შევიტყეთ, რომ წყლის სადენის ერთ ერთი დიდი მილთაგანი დაზიანდა. თუ ეს მილი გასკდა, მაშინ ქალაქს ნაცვლად 1 ნახ. მილ. ვედრო წყლისა ექნება 720 ათასი ვედრო. კომისია შემდგარი ოთხი ინჟინერისაგან უკვე იყო მილის დასათვალიერებლად. ხელმეორედ კიდევ უნდა გაისინჯოს მილი, ვფიქრობთ, რომ შეიძლება დაუშლელათ შევაკეთოთ იგი.

მეორე კითხვაა ნიხრის დაწესება ქალაქის წისქვილებზე. მომხსენებელია გამგეობის წევრი **გურამოვიჩი.** პურის ნაკლებობა ბევრ მოქალაქეს იძულებულ ყოფს იყიდოს სოფლად ხორბალი და ქალაქის წისქვილს გადასცეს დასაფქვავათ. მეწისქვილები სარგებლობენ მოქალაქეთა გაჭირვებულ მდგომარეობით და ფუთზე დასაფქვავს ოც მანეთამდე ახდევ ნებენ. გამგეობამ გადასწყვიტა ნიხრი დააწესოს ყველა ქალაქში არსებულ წისქვილებზე. ნიხრის სისრულეში მოსაყვანათ იქნებიან ქალაქის მიერ დაქირავებულნი ზედამხედველნი. რომელნიც გაანაწილებენ თუ ვის როდის უნდა დაუფქვან, თვალყურს დაიჭერენ; რომ ნიხრი არ იქნას დარღვეული. ზედამხედველთა შესანახ ხარჯებს დავფარავთ წისქვილის შემოსავლიდან. განზრახულია თითო ფუთზე ათი შაური დავაწესოთ ხარჯების დასაფარავათ. ნიხრი შემდეგია: ფუთი ხორბლის დაფქვა 3 მან. 50 კაპ. ქერი—4 მან. სიმინდი—4 მ. 50 კ. მცირე კამათის შემდეგ საბჭომ დაამტკიცა ეს მოხსენება. დასასრულ ქალ. თავი აუწყებს საბჭოს, რომ მივიღეთ განცხადება მილიციის უფროს კონიაშვილისგან სამსახურიდან გადადგომის შესახებ. გამგეობა უცხადებს მადლობას კონიაშვილს თავის მოვალეობის კეთილსინდისიერათ შესრულებისათვის. საბჭომ ეს განცხადება მიიღო. გადასწყდა შემდეგ კრებაზე დაისვას კითხვა მილიციის უფროსის არჩევის შესახებ.

## მცირე წერილი

საქართველო მეურნეობის ქვეყანაა—უფრო კი სასოფლო მეურნეობის. და სწორეთ ამიტომ აუცილებლად საჭირო იყო და არის სათანადო ანგარიში გავუწიოთ ამ საქმეს.

ჩვენი სოფლის მეურნეობა შერეული სახისაა. ძნელათ ნახავთ ისეთ ოჯახს, სადაც მარტო ერთ რომელიმე მეურნეობის დარგს მისდევდენ. აბა დააკვირდით: სოფლის მეოჯახე აწარმოებს ხვნა თესვას, მებაღეობა-მევენახეობას, აყენებს ღვინოს, აქვს საკუთარი ბოსტანი, ჰყავს საქონელი—ხარი—ძროხა, აშენებს ფრინველებს და სხ. ეს გარემოება უმთავრესათ ბუნების სინაზეს და სილაღეს მიეწერება. სულ სხვაა რუსეთში: იქ უმთავრესათ ხვნა-თესვას მისდევენ, თუ პური მოცდა—შიმშილობა აუცილებელია.

მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენმა ბუნებამ მდიდარი და გამრჯელი მცოდნე ხელისათვის ბარაქიანი მოსავლის მიცემა იცის. საქმე იმაშია, რომ შესაფერი ცოდნა-გამოცდილება არა გვაქვს, რომ დიდმა შრომამ და ოფლმა შესაფერი ნაყოფი მოგვცეს.

პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება უძლიერესი იარაღია ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და აი ასეთი ცოდნა უნდა მივცეთ ხალხს, რომელსაც გარჯილობა და შრომის უნარი კი აქვს, მაგრამ უცოდინარობა ყველგან ცარავს. ჩვენმა მთავრობამ, უფრო კი მიწათ-მოქმედების სამინისტრომ უნ-იკისროს და მოაწყოს ყველგან სოფლათ ამგვარი ცოდნის მიმცემი ორგანიზაციები.

დღეს სოფელი ამ მხრივ უპატრონოთ არის მიტოვებული. რევოლიუციის მსვლელობამ შვა ანარქია და ამ ვაი-ვაგლახში სოფელი ძალაუნებურათ ჩაება. საბედნიეროთ ჩვენმა მთავრობამ სძლია სოფლად ანარქიას. და სწორეთ უკვე მომწიფდა დრო ხალხს თავის ყოველ დღიურ შრომის დროს გავუწიოთ ხელმძღვანელობა.

საქართველო თავის მეურნეობის მიხედვით საჭიროა დაიყოს რაიონებათ და თვითეულ რაიონს უნდა დაენიშნოს გამოცდილი და მცოდნე სპეციალისტი, რომელიც ხალხს ასწავლის მისი მეურნეობის გაუმჯობესებას და გაფართოებას. ასეთ სპეციალისტს უნდა უყვარდეს თავისი საქმე და უპირველესად უყვარდეს ქართველი ხალხი და სოფელი, როდესაც ის წავა სამოქმედოთ.

შეიძლება სთქვან, ასეთი მცოდნენი არა გვყავანო. მართალია, სულ მცირეა ჩვენში ასეთი ხალხი. ძველი წესწყობილების დროს აგრონომი მხოლოდ დიპლომს იცნობებოდა. მე არ ვიცი ისეთი აგრონომი, რომელიც თავის მეურნეობას ეწეოდეს, რომელსაც სამეურნეო მეცნიერება გამოცდილებით გაეშუქებინოს და ხალხში გაეტანოს. დიპლომიანი აგრონ.ომების დიდი უმეტესობა კაბინეტებში ისხდნენ და მხოლოდ პროექტებს ადგენდენ. უფრო ხშირად კი მოხელეები იყვნენ. ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ ახალი საქართველოს აღორძინების დროს ეს ნაკლი უნდა გასწორდეს ჩვენმა მთავრობამ უნდა აღზარდოს, მოამზადოს ისეთი სასარგებლო სპეციალისტები და დღეს-დღეობით კი, რაც საუკეთესო გამოსადეგი ძალები მოგვეპოვება, ის ჩავაბათ ამ საქმეში. ძველი რეჟიმის დროს სამეურნეო სკოლები რაღაც გერებათ,—თითქოს ზედმეტათ იყვნენ მიჩნეულნი. ამ სკოლების მოწყობაზე არავინ ფიქრობდა და ვისაც ჩვენი სამეურნეო სკოლები უნახავს, ამაში დამეთანხმება: უბადრუკი და უმწეოა თითქმის ყველა ამ სასწავლებლების მეურნეობა და სწავლა. მოგეხსენებათ სკოლის მეურნეობა და მთელი მისი საქმიანობა სარკე უნდა იყოს მოსწავლისათვის, რომ ცხოვრებაში სკოლაში ნასწავლმა მეურნემ იმით იხელმძღვანელოს, რაც სკოლაში უნახავს, უსწავლია და გაუკეთებია, მაგრამ ჩვენ სკოლებს დიდი ნაკლი აქვთ.

მე მოგახსენებთ დაბალი ტიპის სამეურნეო სკოლების შესახებ; საშუალოდ უმაღლესი ხომ დღემდე არ მოგვეპოვება,—მიწის მუშას უნდა მივაწოდოთ ყველაფერი, რაც მას ესაჭიროება: კარგი თესლი, სამეურნეო იარაღი, სასუქი, წამალი, რომ ბაღი და ვენახი არ გაუფუჭდეს და სხვ.

ყველაფერი ეს უნდა მოეწყოს და მოგვარდეს, დღევანდელი მომენტი ამას უეჭველად თხოულობს. ვიცი, ჩვენს სამიწათმოქმედო სამინისტროს ბევრი და მასთან ძალიან რთული და მძიმე საქმეები აქვს საკეთებელი, უთუოდ არც ეს საკითხები გამორჩება, ჩვენ მხოლოდ მოვაგონებთ, რომ თავის დიდ მუშაობაში, ამ კითხვებსაც ჩქარა გარკვევა და გაკეთება უნდა; დრო კი არ იცდის.

სვიმონ ხუნდაძე

## ქართველ საზოგადოებას

როგორც მკითხველს მოეხსენება, ოთხი წლის ომმა დიდად ააფორიაქა საზოგადოების ცხოვრება. მან თავისი დაღი დაასვა ქართველ სტუდენტობასაც.

ქართველი სტუდენტობა რუსეთში ითვლებოდა არა როგორც ნამდვილი წევრი დიდი რუსეთის იმპერიისა, არამედ, როგორც უკანონო შვილი. მათ არ შეეძლოთ, როგორც სწორ უფლებიანი წევრი სახელმწიფოსი, შესულიყვნენ იმ უნივერსიტეტში, სადაც მათ სურდათ.

მათ განსაკუთრებული უნივერსიტეტები ჰქონდათ რუსეთის მთავრობისაგან მიჩნეული, რის იქითაც ფეხს ვერ გადასდგამდენ.

ნახევრად მშიერი ქართველი სტუდენტობა იბრძოდა საერთო საქმისათვის სხვა ამხანაგებთან ერთად, მაგრამ ამ ბრძოლაში ერთი წუთითაც არ დავიწყებიათ, რომ საქართველო უფრო მოითხოვს ინტელიგენტურ ძალას, ვიდრე დიდი რუსეთი; დადგა ბედნიერი წუთი და ქართველი სტუდენტობაც, ახალგაზდური რწმენით აღჭურვილი გამოუდგა სამშობლოს გზას. რევ. პირველ დღიდან დღევანდლამდე, ჩვენი ქართველი სტუდენტობა შეუსვენებლივ იბრძოდა იარაღით ხელში საშინაო და საგარეო ფრონტებზე და ამით ასრულებდა თავის დანიშნულებას.

ანარქიის ქარიშხალი ჩერდება და ჩვენი სტუდენტობაც ფრონტებიდან სახლში ბრუნდება. ეხლა მას სულ სხვა საქმე გამოუჩნდა. რევოლიუციამ მთლად ჩამოაშორა ისინი იმ ძველ და საყვარელ საქმეს, რომელსაც ასრულებდენ წინეთ. ეს არის სწავლა. მათ მოსწყურდათ ძველი საქმე და უნდა ეს წყურვილი მოიკლონ სამშობლოსა და მომავლის სასარგებლოდ.

ამ ორი კვირის წინათ საერთო ქართველ სტუდენტთა (უკრაინელთა) კრებაზე პრინციპიალურად გადასწყდა, რათაც უნდა თაუჯდეთ გაათავონ თავიანთი დაწყებული საქმე, რათა უფრო მეტი ცოდნითა და სწავლით დაბრუნდნენ თავის სახელმწიფოში და მონაწილეობა მიიღონ მის აღმშენებლობაში. შეიძლება ბევრმა სთქვას კიდეც, რა დროს წასვლაა, როდესაც კიდევ ბევრი საქმე აქვს სამშობლოს გასაკეთებელიო. მე ვუპასუხებდი, რომ ეს ახალგაზდები ისედაც დამახინჯებულნი რუსეთის არა ნორმალურის ცხოვრებით, უფრო მთლად დამახინჯდებიან დაიღუპებიან, თუ მათ არ შეათავეს თავისი საქმე და ისე არ დაიწყეს ცხოვრებაში მოქმედება. მით უმეტეს ეხლა როდესაც ჩვენ ახალგაზდა სახელმწიფოს ასე ძალიან სჭირია მცოდნე პირები. და აი ეს მცოდნე პირები კი ამ ახალგაზდობამ უნდა მოგვცეს.

მათი სურვილების ასრულების უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი—ეს, მათი მეტერიალური მხარეა. მათ შორის ძალიან ცოტაა ისეთი, რომელთაც თვისიც შეეძლოთ რუსეთში სწავლის გაგრძელება. აი სწორედ ამ მიზნით ქარ. სტ. იმ ჯგუფმა, რომელიც ამ ახლო მომავალში აპირებს უკრაინაში სწავლის გაგრძელებას, გადასწყვიტა წასასვლელ ფონდის შესაქმნელად გამოსცეს ერთ დღიური გაზ. „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ და რვა ენკენისთვეს კიდევ გამართოს სეირნობა კონცერტიული განყოფილებით. ყოველივე ამისი სისრულეში მოსაყვანათ ზომები უკვე მიიღო არჩეულმა კომისიამ. გაზეთი „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ გამოვა ამ დღეებში. იმედია ქართველი საზოგადოება არ დაიშურებს თავის წვლილს ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ, დაუზარებლივ გაუსაღებს მათ გაზეთს და მასთან ერთად დაესწრება მომავალს სეირნობას ქართველი სტუდენტები კიდევ არ დაივიწყებს თავის მოამაგეებს და გაორკეცებულის ენერგიით დაეწაფება სწავლა-განათლებას, რათა დააფასოს და გადაუხადოს სამშობლოს ამაგი.

გიგლო.

## ოსეთში

ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იმისა, რომ სოფლად ანარქიაა გამეფებული, რომ ძარცვა-გლეჯა-თავდასხმებმა საშინელი ხასიათი მიიღო და არღვევს მშვიდობიან ცხოვრებას, როგორც ვიცით, არის ის, რომ სოფლებში დაძრწიან შეიარაღებული პირნი, რომლებიც არავის ანგარიშს არ უწევენ და იარაღს ისე იყენებენ, როგორც მათ მოეხასიათებათ. მათი ალაგმვა, იარაღის აყრა—აი რას შეუძლია ხელი შეუწყოს იქ მშვიდობიანობის დამკვიდრებას. ამის ნიშნები უკვე არის. გორის მაზრის იმ რაიონებში, სადაც იარაღი აყარეს შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, სადაც თამამად შეიძლება მუშაობა რეფ. თუ სხვა საქმეების გასატარებლათ, იქ კი, სადაც ეს ვერ მოხერხდა მუშაობა თითქმის შეუძლებელი ხდება და ათასგვარი ბოროტ-მოქმედება ეპიდემიურ ხასიათს იღებს. ასეა უმთავრესად იმ რაიონებში, სადაც ოსები ცხოვრობენ,—განსაკუთრებით ცხინვალ-სამთო ოსეთის რაიონში. იქ ამ ბოლო დროს ძარცვა-გლეჯა-თავდასხმები ისე გახშირდა, რომ პირდაპირ შეუძლებელი ხდება მშვიდობიანი ცხოვრება. და ეს იმიტომ, რომ ოსების იარაღის აყრა ჯერ ჯერობით არ მოხერხდა. ოსი გლეხი საშინელი წინააღმდეგია იარაღის ჩაბარებისა, მას ეს დამცირებათ მიაჩნია, ამაში ის ხედავს თავის პოლიტიკურ მტრობას და სხვ. მაგრამ ასე ფიქრობს არა მარტო შეუგნებელი ნაწილი ოსობისა, არამედ ინტელიგენტებიც,—ისინი, რომლებიც ხალხს სათავეში უდგანან. იმის მაგიერ, რომ ხალხს აუხსნან საქმის ვითარება, დაარწმუნონ წინააღმდეგში და ხელი შეუწყონ შეიარაღებულ პირთა ალაგმვას,—ისინი წინ ეღობებიან კომისრებისა და ჩვენი ამხანაგების მუშაობას და ხშირათ თავის მფარველობას უწევენ ასეთ პირებს. მაგალითისათვის შორს არ წავალთ. ცხინვალის რაიონის კომისარი ბოცვაძე შეუდგა არასაიმედო პირთა იარაღის აყრას. სამთო ოსეთის რაიონის კომისარს ლ. ცხოვრებოვს ეს არ მოეწონა და მოსთხოვა ბოცვაძეს დაებრუნებია ის იარაღი, რომელიც აყარა მან ოსებს. ბოცვაძემ ოსების ეროვნულ საბჭოს მიმართა. ამ უკანასკნელმა კი არამც თუ არ მოიწონა კომისარ ბოცვაძის მოქმედება და აღუთქვა მას ამ საქმეში დახმარება,—პირიქით მან მხარი დაუჭირა ცხოვრებოვის მოთხოვნას. საბჭოს თავმჯდომარემ შემდეგი წერილი გამოუგზავნა კომისარ ბოცვაძეს:

„ცხინვალის რაიონის კომისარს. თქვენი 22 აგვისტოს თარიღით № 1461 მოწერილობის გამო, სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო გთხოვთ ის იარაღი, რომელიც ჩამოართვით სხვადასხვა პირთ, ეროვნულ საბჭოს გადასაცემათ, გადაეცით სამთო ოსეთის რაიონის კომისარს პორუჩიკ ლეონიდე ცხოვრებოვს და თან გვეცნობოს ცნობები იმ ოსების შესახებ, რომლებიც უწესოებას სჩადიან, რათა ასეთ პირთა წინააღმდეგ საჭირო ზომები მივიღოთ. სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ა. ტიბილოვი“.

რას ნიშნავს ეს წერილი? აქვს თუ არა ოსების ეროვნულ საბჭოს უფლება მიითვისოს ადმინისტრატიული ფუნქციები და ამ უფლებით ისარგებლოს ჩვენი კომისრების წინააღმდეგ? ჩვენ ვფიქრობთ ამის უფლება მას არ აქვს. თუ ეროვნულ საბჭოს სურს მშვიდობიანობის დამყარება ოსეთში, იგი უნდა დაეხმაროს ჩვენს კომისრებს იარაღის აყრაში და არა გააუქმოს მისი განკარგულებანი.

ამას მოითხოვს საერთო ინტერესები, ამასვე მოითხოვს თვით ოსეთის ინტერესებიც.

ვ. ქ.

## მოღალატის მსხვერპლნი

**ი. ალიხეგოვი, ნ. ჯაში და ი. ღლონტი.**

ეს სამი ამხანაგი-გვარდიელები კიდევ იმსხვერპლა უნდობელმა სიკვდილმა. თფილისის საქონლის სადგურის მუშებმა დაჰკარგეს სამი საუკეთესო ამხანაგი. ამათ საქმით, ცოცხალი საქმით დაამტკიცეს, თუ როგორ უნდა რევოლ[illegible]ციის და თავისუფალი სამშობლოს მტრებთან ბრძოლა.

მშვიდობით ამხანაგებო! [illegible] ნი ალო უკვე გამოა[illegible] მოიხადეთ თქვენი ვალი დემოკრატიის წინაშე და ამ დემოკრატიის გულშიც დაიდგით სამუდამო ხსოვნის ძეგლი. თფ. საქ. სადგ. მუშები, ჩვენი პროფ. კავშირი და ჯავშნოსან № 1-ის სახალხო გვარდიელები ვგლოვობთ მწარეთ თქვენს უდროოდ დაკარგვას და ფიცს ვსდებთ, რომ ან დავიხოცებით, ან გავიმარჯვებთ...

ხ. ქრისტინეშვილი.

**ამხ. გრ. კეჩელში და ლევ. მახულია.**

გული დაგვითუთქა და დაგვამწუხრა გრიგოლ და ლევანის ახალ-ათონთან ასკერებთან ბრძოლაში გმირულმა დაცემამ. ამხ. გრიგოლმა თავიდანვე მიიღო მონაწილეობა გვარდიის შედგენაში და არც ერთ ექსპედიციას არ დაკლებია. მან ყველგან დაიმსახურა ამხანაგების პატივისცემა. ამ ბოლოს შულავერ-სადახლოსკენ გალაშქრების დროს ის დაიჭრა, მაგრამ გადარჩა და დღეს კი ეს დაუღალავი მუშაკი ოსმალეთის ასკერებთან ბრძოლაში დაეცა.

მკვირცხლი და თავდადებული ამხანაგი ლევანიც ცდილობდა არასოდეს არ ჩამორჩენოდა სხვა გვარდიელებს. ყველა პატივით ეპყრობოდა მათ.

მშვიდობით ამხანაგებო! თქვენს ღვაწლს და თავდადებას თავისუფლებისათვის არ დაივიწყებენ ამხანაგები და თქვენ მიერ არჩეულ გზაზე წინსვლას განაგრძობენ.

თ. სპარტაკი.

## საქართველოს მეთამბაქოეთა ბიუროს გარშემო

ამა წლის ივნისის 10-ს მთავრობამ ამავე ბიუროს შუამდგომლობის თანხმად გადასდვა გურიაში თამბაქოს სასყიდლათ 500,000 მან. რადგანაც ამ ფულით თამბაქოს შეძენა შეუძლებელი იყო, ამავე ბიუროს თხოვნით ეს ფულები დროებით გადაეცა გურიის მეთამბაქოეებს თამბაქოს გირაოს ქვეშ სესხის სახით. ამ ფულებიდან მიღებულია ოთხი მეხუთედი, ერთი მეხუთედი კი, ბონების რეალიზაციის შეჩერების გამო, დროებით შეჩერებულია. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს ტერიტორიაზედ გასასყიდია 700,000 ფუთი თამბაქო, რომლის უდიდესი ნ.წილი არის სოხუმის და კახეთის რაიონებში. სოხუმსა, ლაგოდეხს ქიზიყს და ზუგდიდის რაიონებს არავითარი სესხი არ მოსწევია, რაც ხალხში არევ-დარევას იწვევს. თამბაქო სპირიათ. არა ლეკალურათ და მასთან თითო ოროლა შემოპარულ უცხოელებსაც გააქვთ თამბაქო სრულიად უბაჟოთ, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო შემოსავლის ინტერესებს. საქართველოს თამბაქო 500,000 ფუთზე მეტი ყოველ წლობით გადიოდა რუსეთში. ომიანობამ ჩვენ ჩამოგვაცილა რუსეთის ბაზარს, რამაც გამოიწვია ერთი მხრივ თამბაქოს დაგროვება მეორე მხრივ ამას ზედ დაერთო მთავრობის დადგენილება, რომელიც კრძალავს თამბაქოს გატანას საზღვარგარეთ გარდა გერმანიისა. გერმანელები ჯერ-ჯერობით ამ კითხვის გარშემო არავითარ გადაჭრილ პასუხს არ იძლევიან, რამაც გამოიწვია თამბაქოს გაუყიდაობა და მასთან მწარმოებელ გლეხობის განადგურება. ამ კითხვის მოგვარების გარშემო საქართველოს მეთამბაქოეთა რწმუნებულმა ბუკიამ მთავრობას შემდეგი მოსაზრება წარუდგინა: 1) საქართველოს მეთამბაქოეთა ბიუროს აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია, რომ არსებული თამბაქო, რომელიც 700,000 ფუთამდეა და რომლის ღირებულებაც 150,000 მ. აღემატება, დარჩეს მთავრობის განკარგულებაში, არა როგორც მეთვალყურე, არამედ—როგორც მფლობელი. 2) მიეცეს მეთამბაქოეებს 5,000000 მანეთი სესხი, რომელიც დაურიგდება თამბაქოს გირაოს ქვეშ, 3) ფასების შესამოწმებლად, რომელიც გამომუშავებულია მეთამბაქოეთა ყრილობის მიერ, იქნეს არჩეული თვალსაჩინო სამეურნეო დარგიდან კომისია, რომელიც გაშინჯავს გამომუშავებულ ფასებს. 4) თუ მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია სესხის გაღება, იმ შემთხვევაში ბიუროს რწმუნებული სთხოვს მთავრობას, რომ ის დებულება, რომელიც კრძალავს თამბაქოს გატანას საზღვარ გარეთ, გაუქმებულ იქნას, რათა საშუალება მიეცეს მეთამბაქოე გლეხებს თავისუფლად გაჰყიდონ თავიანთი ნაწარმოები. მთავრობის თავმჯდომარემ ამ საქმეზე თავის შეხედულების გამოტანა მიანდო ორ უწყებას: სამიწათმოქმედო სამინისტროს და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს. საჭიროა ეს ჩქარა გადაწყდეს.

X.

## რაჭველ-ლეჩხუმელებს

ამხანაგებო! თქვენ იცით, თუ რა დიდ გაჭირვებას განიცდის დღეს ჩვენი სამშობლო—საქართველო. ასის წლის მო-

---

...ველ საზოგადოებაში არ არის; ისი-...პოლიტიკური მკვდრები არიან.

...რიგათ ჩვენში არ არის სოციალური ნიადაგი რეაქცია რესტავრაცია, ანუ ...რქიული კონსტიტუციისათვის.

...რთველი ერი შესდგება: მრავალ-...ხოვან გლეხებისაგან, რომელთა 90 ...ცენტი ბინის ნაკლებობას განიცდის, ...ლებულია იჯარით აიღოს მიწა ...ლობელებისაგან, ანუ ბიუჯეტის ...ვლებათ სხვადასხვა ქალაქებში უნ-...ეძიონ სამუშაო. თუნდაც ყვე-...ის მიწები, რომელსაც კონფისკა-...ვუყავით, დავურიგოთ გლეხებს, ისი-...მაინც იძულებულნი იქნებიან სხვა ...ეშე სამუშაო ეძიონ, რადგანაც მარ-...იმ მიწის შემოსავლით ვერ გამო-...ვენ თავიანთ ცოლშვილს.

...აგრამ ამ მიწების გლეხებისადმი გა-...ემა ხომ საუკეთესო უზრუნველყო-...რევოლიუციონური მონაპოვრების ...დემოკრატიის ბატონობის.

...შემდეგ არის ქალაქის „მეშჩანები“,—...წვრილი ბურჟუაზია, საკმაოთ მრა-...რიცხოვანი, რომლის დიდი უმრავ-...ობა გლეხობიდან არის წარმოშობი-...და თან ატარებს გლეხობის ანტი-...თა მისწრაფებებს და თვისებებს-...ქალაქი პოლიტიკურად ეკედლება რე-...ოლიუციონურ კლასებს, სოციალურად ...ინტერესებულია მრეწველობის და ...ვილი კაპიტალის განვითარებაში, რად-...აც მას არ გამოუცდია მსხვილი ბურ-...ზიის დამრღვევითი გავლენა, ამიტომ ...ლასი არ შეიძლება იყოს ამ ხანად ...იქულის სოციალური რეაქციის.

...შემდეგ მიდის მუშათა კლასი, გლე-...თან შედარებით მცირე რიცხოვანი, ...რამ ყველაზე უფრო შეგნებული და ...განიზაციულად მოწყობილი. როგორც ...ოლიუციამდე, ისე რევოლიუციის ...ოსაც მთელი გლეხობა და წვრილი ...ურჟუაზიის ნაწილი მას მისდევდა და ...ობდა მის პოლიტიკურ გეგემონიას.

...მ რიგათ საქართველოს საზოგადო-...ივი ურთიერთობა ეწყობა სამი დე-...ოკრატიული კლასისაგან: მუშათა, გლე-...ის და წვრილი ბურჟუაზიის, რომელ-... შეადგენენ საძირკველს საქართვე-...ს სახელმწიფოს შენობისათვის. ამ ...ობებში შეიძლება სახელმწიფო იქნეს დემოკრატიული, ანუ სულ არ იქნება.

ასეთ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას ჩვენ ვერ ვხედავთ ვერც ადერბეიჯანში, სადაც ოსმალეთის მეოხებით ძალა უფლება მიწათმფლობელთა ხელშია, ვერც სომხეთში, სადაც ბურჟუაზია საკმაოდ ძლიერია, ხოლო გლეხობა პოლიტიკურათ ნაკლებათ შეგნებულია, ვერც რუსეთში, სადაც ბოლშევიკების ავანტიურის მეოხებით რეაქციისათვის ნიადაგი მომზადებულია. ერთი სიტყვით, საქართველოს პოლიტიკურ საზოგადოებრივი ურთიერთობა კლასობრივი სტრუქტურის მიხედვით ერთიანად განირჩევა ასეთივე ურთიერთობისაგან მეზობელ სახელმწიფოებისა. სხვათა შორის, ეს განსხვავება არსებობდა რევოლიუციამდეც, რაზედაც მე არა ერთხელ დამიწერია წინეთაც.

ყველა დემოკრატიული რესპუბლიკები დაიბადენ ისეთ სოციალურ ურთიერთობაში, როგორიც არის ჩვენში. შვეიცარიის და ამერიკის რესპუბლიკები აღმოცენდენ ისეთ დროში, როცა ბურჟუაზია არ იყო განვითარებული და არ წარმოადგენდა მსხვილ სპეციალურ ძალას, ხოლო თავად აზნაურობა არ იყო. კონვენტის მისწრაფებანი საფრანგეთში დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისაკენ მიმართული დაამსხვია უკვე წამოდგარ თავად აზნაურობამ, გაძლიერებულ ბურჟუაზიამ და გლეხობის ჩამორჩენამ დღევანდელი საფრანგეთის რესპუბლიკა დემოკრატიული არ არის, როგორც ამას ქვევით დავინახავთ). კონვენტს რომ მოეხერხებია თავისი დემოკრატიული კონსტიტუციის ცხოვრებაში გატარება, მაშინ ბურჟუაზიული კლასები იძულებულნი იქნებოდენ მიეღოთ ის, როგორც ფაქტი, და განვითარებულიყვნენ ამ კონსტიტუციის ფარგლებში, როგორც ეს ქნა ამერიკის და შვეიცარიის ბურჟუაზიამ.

საქართველოშიაც ხომ განვითარდება ძლიერი ბურჟუაზია მაგრამ ის დაინახავს უკვე დამკვიდრებულ დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომლის ფარგლებში ის განვითარდებოდა და რომელსაც ის შეესისხლხორცა.

(შემდეგი იქნება)

ნობის შემდეგ ჩვენ განთავისუფლდით და როგორც იყო, დავლეწეთ მონობის უღელი—საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი შეიქმნა. მაგრამ ამ თავისუფლებას ორი დიდი მტერი ჰყავს—გარეშე ძალები და საკუთარი შეუგნებლობა. საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას ძირს უთხრიან ჩვენი მტრები, მაგრამ ბევრად უფრო საშიში გამხდარა ის აჯანყებანი, რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში ჰხდება და რომელიც ხალხის სიბნელით და გაუგებრობით აიხსნება.

ამხანაგებო! ასეთი სამარცხვინო აჯანყება საკუთარი თავისუფლების წინააღმდეგ სამწუხაროდ ლეჩხუმშიაც მოხდა. თუმცა თვით ხალხი ამაში მონაწილეობას არ იღებდა და თუ იღებდა—ხულიგანთა მოტყუებით და პროვოკაციით, მაგრამ ფაქტია, რომ იქ თოფ-ზარბაზანი ახმაურდა, ჩვენს დემოკრატიულს მთავრობას დასჭირდა განსაკუთრებულ ზომების მიღება.

ვიმეორებთ ეს ხალხის სიბნელის ბრალია. მოწინავე ელემენტებმა სოფელი მიატოვეს და ათასგვარ გაუგებრობის მსხვერპლად გაჰხადეს. დღეს რაჭველ-ლეჩხუმელთა ერთი ჯგუფი აარსებს რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოებას. მისი მიზანი იქნება ხალხში გათვითცნობიერების შეტანა, სკოლათა, ბიბლიოთეკათა და სხვ. გახსნის ხელის შეწყობა. ათასგვარი საჭიროება აქვს რაჭა-ლეჩხუმს საზოგადოება ეცდება ყოველ ამისთანა საქმეს ხელი შეუწყოს, იკისროს თაოსნობა გზების გაყვანისა, მთა-მადნის დამუშავებისა, სხვადასხვა საკულტურო დაწესებულებათა დაარსებაში. გარდა ამისა იგი ეცდება დღევანდელ გაჭირვების დროს მიეშველოს რაჭა ლეჩხუმს სხვადასხვა საჭირო ნივთიერებათა მოწოდებით და ხალხის მდგომარეობ ს შემსუბუქებით.

ამ საზოგადოების დამფუძნებელი კრება დანიშნულია კვირას, ენკენისთვის 1-ლს. წესდება უკვე შემუშავებულია. საჭიროა მისი დამტკიცება და გამგეობის არჩევა. ყველა შეგნებულ რაჭველ-ლეჩხუმელის და საზოგადოდ ქართველის მოვალეობაა ამ კრებაზე მოვიდეს და საზოგადოებაში ჩაეწეროს.

მაშ ამხანაგებო, მოდით კვირას საზოგადო კრებაზე (ადგილი გაზეთებში იქნება გამოცხადებული), შეატყობინეთ ყველას და მოიზიდეთ ყველანი. დავიწყოთ ეს დიდი საქმე, რომლის გაკეთებასაც მოითხოვს საქართველოს ნორჩი თავისუფლება და ჩვენი კუთხეების გაჭირვებული მდგომარეობა.

**საორგანიზაციო კომისია.**

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებს ეს მოწოდება გადაბეჭდონ. ს. ქ.

## თავგასულობა თფილისის ხაზინაში

მკითხველებს კარგათ მოეხსენებათ, თუ რა ხმები დადის ქალაქში ხაზინაში მოსამ. მოქმედების შესახებ, შეიძლება ზოგი ტყუილი იყოს, მაგრამ არ შეიძლება ეს ხმები სულ ყველა სიმართლეს იყოს მოკლებული. მე ვიტყვი, რომ ბევრი მართალია და საჭიროცაა, რაც შეიძლება საჩქარო ზომები იქნას მიღებული, ვინაიდან მექრთამეობამ თფილისის ხაზინაში მიაღწია უმაღლეს წერტილს.

წინეთ, სანამ ფულის ნაკლებობა არ არსებობდა, ყოველივე ქრთამების აღება ხაზინაში შეუძლებელი იყო, მაგრამ როცა კი დაიწყო ფულის ნაკლებობა, მექრთამეობას ფართე ნიადაგი მიეცა და ის ამის შემდეგ სულ ფართოვდება. დღემდის თამამათ შეიძლება ითქვას, რომ არავითარი ზომები არ არის მიღებული მის მოსასპობათ. მიუხედავათ იმისა, რომ ამ ხმებმა მიიღო ზღაპრული ხასიათი, ჯერ იყო და კასირი ლაშკო, როდესაც კარგათ მოიოხა გული ქრთამების აღებით, გაიქცა, რომელსაც ხელი შეუწყო სახაზინო პალატის მმართველი მოხერხებულათ ბამ: რომელ დღესაც მისცა რაპორტი სამსახურიდან განთავისუფლებისა ლაშკომ, იმავე დღეს გაანთავისუფლა მმართველმა თავის ბრძანებით ხაზინის შეუკითხავათ, აქვს რამე ხაზინას დამაბრკოლებელი მიზეზები მის დათხოვნაზე თუ არა, რასაც მოითხოვს კანონი. შემდეგ, როდესაც გამოირკვა ლაშკოს მოქმედებები, მერე მოჰკიდეს ხელი რევიზიის მოხდენას. მმართველის განკარგულებით სარევიზიო კომისიაში შედიან მის თანაშემწე ბ. ჟუკოვი და სამიც სახაზინო პალატის მოხელეები, რომელნიც შ ნჯავენ მიცემული ფულების დოკუმენტებს. მიუხედავათ იმისა, რომ რევიზია სწარმოებს, მექრთამეობა მაინც თავის საფეხურზე დგას და ჩვეულებრივათ გრძელდება ბნელი „საგმირო საქმენი". ყველა მოხელე, რომელნიც საპასუხისმგებლო ადგილზე იყვნენ, დღესაც თავთავის თანამდებობაზე ბრძანდებიან და თავისუფლათ გრძნობენ თავს. ხაზინაში არის შემდგარი ერთგვარი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბ ნი უფროსი ბუხჰალტერი ლ. ა—ლი და რომ-[illegible] საბუთები მო-

გვენახება. ჯერ იყო და, როდესაც კასირი ხაზინაში მსახურებდა. უფროსი ბუხჰალტერის თვალში, როგორც მეთვალყურე ხაზინის საქმეების მსვლელობისა, ლაშკოზე კარგი და პატიოსანი მოხელე არავინ იყო, რომელიც ბევრჯელ უქია სხვა მოხელეებთან და ყველაზე მაღლა დაუყენებია; დღეს კი ირკვევა, რომ მისი „ამხანაგი" ყოფილა.

როდესაც თურმე ფულის ტალონებს ლაშკო მიიტანდა სამხედრო სტოლში და არ გამოუწერავდენ მას ასიგნოვკებით ფულს, მერე იმავე ტალონებით უფროსი ბუხჰალტერის ბრძანებით აწერინებდა ფინანსიური კომისიის ნებადაურთველ ტალონებს, რასაც ამტკიცებს იქ მომუშავე ბუხჰალტერი კლ—ვი.

მეორე, მე თითონ ამ რამდენიმე ხნის წინეთ აღმოვაჩინე ბოროტმოქმედება სამხედრო ბუხჰალტერიაში და მივუთითე უფროსს ბუხჰალტერს, რომელმაც ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია. მესამე: ამ ათი დღის წინ მეშვიდე ქართული პოლკის ხაზინადარმა ბ. ნ—ამ მიიღო ტალონით ას შვიდი ათასი (107,000) მანეთი ნაღდი ფული, ეს იმ დროს, როდესაც ეროვნული ნაწილებისთვის გადადებული იყო მხოლოდ ორმოცდა ათი ათასი (50,000) მანეთი ამაზე ხმებია გავრცელებული, რომ ეს ზემოთ აღნიშნული ხაზინადარი ფქვილებს აძლევსო. მე თვითონ პირადათ ამას ვერ დავამტკიცებ, რადგანაც მე ჩემი თვალით არ მინახავს, მხოლოდ ამას კი ვიტყვი თამამათ, რომ პოზიციიდან ჩამოსულმა აფიცრებმა ვერ მიიღეს იმ დღეს ჯარის საჭიროებისთვის ვერც 1000 მანეთი. მკითხველს კითხვა დაებადება, თუ 50,000 მანეთზე მეტი არ იყო გადადებული ეროვნული ნაწილებისთვის, საიდან მისცემდა 107,000 მანეთსო? მან მისცა ეგრეთ წოდებული დაშლილ ჯარების მოხელეთა სალიკვიდაციო თანხიდან, რომელიც იმ დღეს იყო გადადებული. ვინც ხაზინის საქმეებში არის ჩაკვირვებული, მისთვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი წვრილი კრედიტორი იქნებოდა დაკმაყოფილებული და მათი დაუკმაყოფილება კი იწვევს ყოველგვარ უკმაყოფილებას.

ასეთ დროს, როდესაც ყოველივე მხრიდან ჩვენ რესპუბლიკა გასაჭირშია და მის ნაცვლათ, რომ, როგორც საქმის მცოდნე პირმა, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ქართველმა თანამშრომლობა გაუწიოს მთავრობას ნაცვლათ ამისა იგი ემსახურება ბნელ საქმეებს. ასეთ „მოქალაქეს" თვით მკითხველმა უწოდოს ღირსეული სახელი. ამის შემდეგ რაღა მოვთხოვოთ სხვა ერის საბოტაჟნიკებს, რომელიც ბლომათ მოიპოვებიან ყველა დარგში.

იმედია ვისგანაც ჯერ არს ამ გარემოებას მიექცევა ჯეროვანი ყურადღება, რაც შეიძლება მალე და მიიღება მის და კომპანიის წინააღმდეგ სასტიკი ზომები.

ხაზინაში მოხელეები არიან ორ დარგათ გაყოფილი: ზოგი იცინის, ზოგი ტირის, ზოგი მშიერია და ზოგი მაძღარი, ყველამდის სავსე. ეს უსამართლობა ჩქარა უნდა გასწორდეს.

**ხაზინის მოხელე.**

## სახალხო გვარდიაში

**თფილისი.** კვირას 25 აგვისტოს სახალხო გვარდიის შენობაში შესდგა ორთაჭალის სახალხო გვარდიელთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 80 წევრამდე და მთავარ შტაბიდან ალ. მაისურაძე, ალ. დგებუაძე და რუბ. აუშტროვი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ვ. ალიხანიანი. მოხსენებას აკეთებს დღევანდელ სამხედრო მდგომარეობის შესახებ ალ. მაისურაძე. ის ეხება უმთავრესათ მთელი ჩვენი შრომის შედეგებს და დაასკვნის, რომ ის სიმტკიცე და ენერგია, რომელიც წარსულში გამოვიჩინეთ, საჭიროა უფრო გავაორკეცოთ. ამას მოითხოვს დღევანდელი საჭიროება. შემდეგ კრება გადადის მორიგ კითხვაზე, საგამომძიებლო კომისიის მოხსენებაზე. კომისია აცხადებს, რომ ჯერ-ჯერობით მან მუშაობა ვერ დაასრულა, რადგან მას ძლიერ ბევრი სამუშაო ჰქონდა და მასთან დროც მცირე. კრება გამოსთქვამს სურვილს რომ კომისიამ გააკეთოს მოხსენება იმის შესახებ, რაც დღემდის გაუკეთებია. კომისია აკეთებს მოხსენებას. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ის დიდი ენერგიით შესდგომია მუშაობას. კრება გამოსთქვამს სურვილს, რომ კომისიამ განაგრძოს თავისი მუშაობა და გამოარკვიოს ყოველივე ბოლომდის. შემდეგ კრება იქონიებს მსჯელობას იმ პირთა შესახებ, რომლებმაც დაუშვეს უწესობა, ისინი სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემული და დასჯილნი. შემდეგ კრება იხილავს სიას იმ პირთა, რომლებიც უნდა გაიგზავნოს ეხლანდელ ექსპედიციაში. იქვე ეწერებიან. მოხალისენი, რომლებიც რიგს გარეშე სურვილს აცხადებენ წასვლისა. დაბოლოს კრება ნიშნავს დღეს საზოგადო კრებისათვის ოთხშაბათს, საღამოს 4 საათზე. შტაბის შენობაში, სადაც უნდა დაესწროს სრული შემადგენლობა გვარდიელებისა და განხილული იქნება შტაბის რეორგანიზაციის საკითხი. **ნა.**

## ს.-დემ. პარტიაში

**ქ. ყვირილა.** ყვირილა-შორაპნის სოც.-დემოკრატიული კომიტეტი კარგა ხანია მოელოდა ირაკლი წერეთლის მოსვლას ყვირილაში. მოლოდინი ასრულდა და 14 აგვისტოს გვეწვია ძვირფასი სტუმარი.

დილიდანვე ახლო მახლო მცხოვრებლებს ემცნო ირაკლის ჩამოსვლა. ნაშუადღევის ორ საათზე ადგილობრივ საკრებულოს წინ მოგროვდა დიდძალი საზოგადოება. მიტინგი გახსნა ამხ. პ. მეტრეველმა. ირ. წერეთელმა გააკეთა ვრცელი მოხსენება მომენტზე. მიტინგი დაიშალა საღამოს 5 საათზე. ამავე დღეს, საღამოს 7 საათზე ირ. წერეთელი დაესწრო პარტიულ კრებას. მან გააკეთა ფართო მოხსენება მიწის საკითხის შესახებ. მოხსენებაში მან საჭიროდ სცნო მიწები შეისყიდონ გლეხებმა. აღნიშნა, რომ ეს საკითხი ჯერ სავსებით გადაჭრილი არ არის, მაგრამ მიღებულია საოლქო კომიტეტის მიერ და საბოლოოდ გადაწყდება გლეხთა ყრილობაზეო. იყო შეკითხვები. მოხსენებაზე არსებითად პასუხი გასცა ამხ. პ. გოგიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა მრავალი დაბრკოლებანი, რომელიც თან ჩსდევს მიწების შესყიდვას. განმარტებების შემდეგ კრება დაიხურა. **თ. ბ.**

## პროვინცია

**სოფ. ახალ-ქალაქი** (გორის მაზრა). ეს სოფელი თავისი სივრცით და სავაჭროებით დაბას წააგავს. აქაური მცხოვრებლები უმთავრესათ შესდგებიან ვაჭრებისაგან და წვრილ ხელოსნებისაგან. აქ მიწის მომუშავენი და საქონლის პატრონნი ძალიან მცირე ნაწილს შეადგენენ მცხოვრებლებისა. ამით აიხსნება, რომ ეს სოფელი ორ წელიწადზე მეტია ნახევრათ მშიერია. როდესაც სამაზრო კომიტეტი ანაწილებდა პურს, მხედველობაში არ იღებდა, რომ ეს სოფელი მხვნელ-მთესველებისაგან არ შესდგებოდა. ამიტომ ეს სოფელი სულ მუდამ პურის ნაკლულოვნებას განიცდიდა.

ახლაც ამავე მდგომარეობაშია, მიუხედავათ იმისა, რომ პურის, მოსავალი ამ რაიონში კარგია. გლეხები პურს გასაყიდათ არ იმეტებენ. ამ დღეებში რამოდენიმე შეიარაღებული პირი თავს დაესხა ღამით ვაჭრებს ქონდარაშვილებს. წაიღეს 10,000 მანეთად ღირებული ოქრო-ვერცხლის ნივთები და ფულათ ორი ათასი მანეთი. ეჭვით დააპატიმრეს სამი კაცი. **მკერვალი ნიკო.**

**ნიგოითი** (გურია). 14 აგვისტოს ს. ნიგოითში შესდგა საზოგადო არაჩვეულებრივი კრება. დღის წესრიგში დაისვა შემდეგი კითხვები: საზოგადოების სასამართლოს შენობის დახურვა გადაკეთება, ფოსტა ტელეგრაფის განყოფილების დაარსება და საზოგადოების კომისარის არჩევა.

პირველ კითხვის შესახებ კრებამ აირჩია ყოველ სოფელზე ერთი კაცი, რომლებიც შეიმუშავებენ გეგმას და ხარჯთაღრიცხვას ხსენებულ შენობის შესახებ და მოაწესრიგებენ ამ საქმეს.

ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უქონლობა მეტად საგრძნობელი იყო დღემდის ნიგოითის საზოგადოების და მის რაიონში არსებულ, მახლობელ სოფლებისათვის. დღეიდან ამ ფრიად საჭირო დაწესებულებას საფუძველი ეყრება და სულ მოკლე ხანში მოქმედებასაც დაიწყებს. კრებას დაესწრო შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებული ნიგოითის საზოგადოების მცხოვრები ბ. სურგულაძე, რომელმაც აღუთქვა საზოგად. ფოსტის განყ. საჭირო ავეჯეულის ხელმისაწდომ პირობებში გამოგზავნა. კრებამ ერთხმათ მიიღო დაარსდეს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. განყოფილების საქმეთა ხარჯების დასაფარავად იქვე გაიმართა ხელის მოწერა. სადაც შეიკრიბა 250 მან. ადგილობრივ ორგანიზაციების და საქმის ინიციატორთა მიერ ხსენებულ მიზნისთვის ნება ყოფლობითი შემოწირულობით შეკრებილია 1,300 მან. დამსწრე საზოგადოებამ სურვილი გამოსთქვა, რათა მას დაეხმაროს ხარჯების გაწევაში მახლობელ სოფლები: ვანი, ზომლეთი და სამება, რომელებთა მცხოვრებნი ძლიერ განიცდიდენ გაჭირვებას უფოსტობით. ხსენებულ სოფლებთა მკვიდრთათვის ფოსტის განყოფილებას ისეთი სარგებლობის მოტანა შეუძლია, როგორც ნიგოითის საზოგადოების მცხოვრებთათვის.

დასასრულ კრებამ განიხილა ამხ. ლ. სამსონაძის განცხადება. გასულ კრებაზე საზოგადოებამ კომისარათ აირჩია ამხ. ლ. სამსონაძე, მაგრამ სხვადასხვა საპატიო მიზეზების გამო მისი თხოვნა, რომელიც ამ მოვალეობიდან განთავისუფლებაში გამოიხატებოდა, საზოგადოებამ დააკმაყოფილა, და მის მაგივრათ აირჩიეს პლატონ დოლიძე. **თოფკა.**

**ს. ზოდი** (შორაპნის მაზრა). ბავშვობიდანვე ხშირად მსმენია „ჯიბოს წყალწითელას აბანო ქარებიანის და თავის ტკივილისათვის სასარგებლო წყალიაო", მოწამეც ვყოფილვარ, რომ ჩვენებური ქალები ჩაფებით ეზიდებოდენ და თავს იბანდენ, „თავის ტკივილს უხდებაო, სიმხურვალეს უნელებსო და თმაც სქელი აქოდისო". დღეს მართლა ობიექტიური სინამდვილე ამასვე ამტკიცებს.

3 წლის წინათ ეს პატარა ხევი „წყალწითელა", მიმდინარე ს. ს. წირქვალისა და ზოდის საზღვარზე, ა-ღეს საიჯაროთ, მეპატრონეთ ჯიბო და ექვთიმე გამყრელიძეთაგან, ბიქტორ გამყრელიძემ, დ. ღულუნიშვილმა და გ. ბრეგვაძემ, ჩადგეს ქობი და მოაწყვეს რაღაც საბინაოს დაგვარი. იმ ზაფხულს მივიდა რაოდენიმე ავადმყოფი, იბანეს და შემდეგ თითქმის ყველა გაიძახოდა—„მოგვიხდაო". მეორე წელს მუშტარი გაორკეცდა. მოიჯარადრეებმაც ცოტა რამ შემატეს და აბანოს შესახებ ბევრი რამ დადებითი აზრები გამოითქვა; მესამე სეზონზე, ე. ი. წელს, შენობებიც გააუმჯობესეს. №№-იც მოუწყვეს და ცემენტის ვანებიც გააკეთეს.

აბანო მართლა მშვენიერი ყოფილა. საღი, დასალევი პატარა წყლის ნაკადიც იქვე—განცალკევებით აქვს. ადგილმდებარეობა და ჰაერს — ბუნებასაც თითქო საგარაკოთ გაუჩენიაო; ჭიათურიდან და დარკვეთიდან არის დაშორებული 7 ვერსის მანძილზე, ჭიათურიდან გზა-ხალიფაურით, სვიმონ წერეთლის სახლიდან იქვე ჩრდილოეთის მხრივ; დარკვეთიდან—ს. ზოდით—ეკლესიიდან დასავლეთით; საჩხერიდან არის დაშორებით 9 ვერსის მანძილზე, გზა სარეკით, ზოდის ეკლესიის გზითვე; გზები ყველა მხრიდან საურმე; გარშემო სოფლებში წირქვალში, ზოდში და ჭალუანში სურსათ-სანოვაგე იშოვება; აქლია მოაგარაკეთათვის ჯერ-ჯერობით სახლები, არის მხოლოდ ნომრები დასაწვევი 10—15 სულისათვის. როგორც თვით მოიჯარადრენი ამტკიცებენ, ანალიზი წყალზე უკვე გაუკეთებიათ ანტონოვის ლაბორატორიაში—ქუთაისში და კიდეც მოწონებულათ უცვნიათ.

აქვე, წირქვალის საზოგადოებაში, ს. ზედუბნის ჩრდილო მხარე, კოწია წერეთლის „ფანხოსა" და საბარათაშვილოს საზღვარზე, არის მეორე ამგვარივე აბანო წყალი, მოწყობილიც არის მდაბიურ გეგმაზე და ავათმყოფებიც ხშირად ეტანება, ამბობენ დიდათ მოსახდენიაო და მეც ბევრი ვნახე კმაყოფილი; გზა საურმე დარკვეთიდან მდ. ჯრუჭულის და შემდეგ მდ. სატოპელას ნაპირებით საჩხერიდან ს. სარეკით იმავე სატოპელას გზით; მანძილი ორივე სადგურებიდან 10—12 ვერსია.

ამ აბანოებს ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ერთი—როგორც სამკურნალო და მეორე—როგორც საერო (დეკრეტი მადნეულობის და სამკურნალო წყლების შესახებ), ამისათვის სასურველია ამ საკითხით მაზრის და პროვინციების ექიმები და სამთომადნო ინჟინერებიც დაინტერესდებოდენ, მობრძანდენ ადგილობრივად (კერძოთ მივმართავ ინჟ ბ. პაპუნა აბაშიძეს) და თავისი დაკვირვებადასკვნა გააცნონ ფართო საზოგადოებას, ეგებ საქართველოს რესპუბლიკის სალაროს მცირედი წვლილი მიემატოს. **ს. ბარათაშვილი.**

**სამტრედია.** პირველ აგვისტოს სამტრედიის რკინის გზის კლუბში შესდგა კრება სამტრედიის რაიონის მუშ. ჯ. ქ. და გლეხთა დეპუტატების საბჭოსი. პირველად კრებამ მოისმინა მოხსენება ალმ. კომიტეტის მიერ თფილისში ორ კვირეულ კურსებზე გაგზავნილ ამხანაგისაგან, რომელიც გაგზავნილი იყო ქ. თფილისში ერობების და ქალაქის თვითმართველობების საკითხის გასაცნობათ. ცოტა შეკითხვების და მომხსენებლის მიერ ახსნა განმარტების შემდეგ კრება შეუდგა მეორე საკითხის გარჩევას, რომელიც შეეხებოდა სამტრედიაში სხვადასხვა ალაგებიდან დაგროვილ დაზიანებულ და ზოგიერთ სრულიად დამტვრეულ სახაზინო „კაჭკებს" და ფურგუნების ნაწილების ხალხზე გაყიდვას. ამ საკითხის შესახებ საბჭომ სამხედრო მინისტრის ნებართვით გადასწყიტა: უვარგისი და შესაკეთებელი „კაჭკები" გაიყიდოს პროპორციონალურათ ულარიბეს ხალხზე საზოგადოებებში უბნობით და დანარჩენი სავარგისი „კაჭკები" და ფურგუნები შეინახება საბჭოს ალმ. კომიტეტთან. ამ საქმის მოსაგვარებლათ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უკვე ყავდა არჩეული კომისია სპეციალისტებისაგან ფასის დასადებათ ყველა გასაყიდ ნაწილებზე. დავალება ხსენებულმა კომისიამ კიდეც შეასრულა და ამ დღის საბჭოს კრებამ დაავალა ყველა მის წევრებს და უბნების კომისრებს მოახდინონ ყრილობები თავიანთ უბნებში და გამოარკვიონ, თუ ვინ არის ღირსი მის უბანში შეიძინოს ხსენებული „კაჭკები" და ნაწილები მიკუთვნებულ პროპორციით.

მესამე საკითხი იყო დასმული ხალხზე გადასახადების შემოღების შესახებ. ამ საკითხზე მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო დღევანდელ ფინანსიურ მდგომარეობას.

მოხსენება კრებამ ერთხმათ მიიღო და დაადგინა: „სრული ნდობა გამოეცხადოს ჩვენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და ეთხოვოს მას, რაც შეიძლება დაჩქარებით იქნეს შემუშავებული კანონი ხალხზე პროგრესიული და პირდაპირი გადასახადის შემოსაღებათო".

ამავე კრებაზე საბჭომ მოისმინა განცხადება მდ. ცხენის-წყლიდან მოსარწყავ წყალის გამოყვანის შესახებ სხვადასხვა სოფლებში, რომელიც კარგა ხანია დაწყებულია და არხიც გაყვანილია. საბჭომ დიდათ საჭიროთ აღიარა ამ სარწყავი წყალის გამოყვანა და დაავალა კიდეც ყველა მის წევრებს—ხელი შეუწყონ სოფლათ ამ საქმის დამთავრებას და თუ ვინმემ წინააღმდეგობა გაუწიოს ამ სახალხო საქეთილო საქმეს, ის შესაფერის ოქმით წარმოადგინოს საბჭოს ალმ კომიტეტში მსჯავრის დასადებათ, **—პო.**

## წერილი რედ. მიმართ

ნება გვებოძეთ პასუხი გავსცეთ ბ. ელისაბედიშვილს, რომელმაც სიყალბე მოათავსა გაზეთ „ერთობის" 161 №-ში სოფ. გორა ბერეჟოულში გამართულ წარმოდგენის შესახებ.

ბ. ელისაბედიშვილი სწერს, რომ სოფ. გორა ბერეჟოულში გამართული წარმოდგენა 21 ივლისს არა სასურველად ჩატარდა და ხალხი უკმაყოფილო დარჩაო. ეს სიმართლეს მოკლებულია. წარმოდგენა კარგად ჩატარდა და ხალხიც კმაყოფილი დარჩა, მხოლოდ უკმაყოფილო დარჩა ბ. ელისაბედიშვილი, რადგანაც მას პირადი ცრუ თავმოყვარეობა შეელახა. შემდეგ ამბობს ბ. ელისაბედიშვილი, რომ „როდესაც წარმოდგენა იმართება, შემოსავალი რომელიმე დაწესებულებას უნდა მოხმარდესო". სწორედ გვაკვირვებს ეს ცნობა. ჩვენ ნაწილი შემოსავლისა გავგზავნეთ ჟურნალ „პირველ ნაბიჯის" ფონდის გასაძლიერებლად და უმჯობესი იქნებოდა გაეგო ეს ვიდრე სიყალბის დასწერდა და მკითხველს შეცდომაში შეიყვანდა.

**მარქსისტთა ჯგუფი.**

**დაიკარგა:** 28 აგვისტოს ვარანცოვის ძეგლთან საფულე რომელშიაც იყო 450 მან. პასპორტი და სალდათობის თავისუფლების მოწმობა მნახველს ვთხოვ ფული თვითონ დაიტოვოს და დოკუმენტები დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: სასტუმრო „ურალი" რამანოზ გვალიას.

**დაიკარგა:** 26 აგვისტოს სად. სამტრედიიდან თფილისამდე საფულე, რომელშიაც იყო შემნახველ-გამსესხებელი კასის წიგნაკი, ჩემი სურათი და რამდენიმე ფული. მნახველს ვთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: სად. სამტრედია 3-მე კლასის ბუფეტი სირაძეს. ერილე ესეს ძე თავართქილაძისათვის. გამომგზავნი მიიღებს საჩუქარს.

მე 6 რაიონის კოლექტივი (ს. დ. მ. პ.) აცხადებს პარტიულ გაზ. „ერთობის" წლიურ ხელისმომწერლების საყურადღებოთ, რომ პირველ სექტემბრიდან მათ გაზეთი არ გაეგზავნებათ, თუ სექტემბრის ფული არ შემოიტანეს და არც იმ ხელისმომწერლებს, რომლებსაც პირველ სექტემბერში არ ექნებათ შემოტანილი გასული (აგვისტოს) და მომავალი (სექტემბრის) თვეების გაზეთის ფასი. ფულის შემოტანა და გაზეთის აწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე კოლექტივის ბინაზე, თათრის მოედანი, ბიურო მე-6 რაიონის კოლექტივისა.

მე 6 რაიონ. კოლექ. მდივანი მ ნაკაიძე. (2—2)


**ქალ. ქუთაისში**
(მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან)
**ქირურგიული და ქალთა სნეულების სამკურნალო საავადმყოფო განყოფილებით.**
დასაწოლ ავათმყოფს იღებენ ყოველ დროს. (24—14)

ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით [illegible] 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: [illegible] (24—[illegible])

**ექვთიმე არსენის ძე წულუკიძე მსახურობდა სტავროპოლის გუბერნიაში გლუბოდარნაია მაზრის კომისრათ. ამა წლის იანვრიდან ქირისუფლებმა მის შესახებ არაფერი ვიცით.** თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, ვსთხოვ პირად ან წერილობით გვაცნობოს „ერთობის" ან „ბორბის" რედაქციაში ვ. წულაძეს. (5—3)

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნ-ტის
**მ. გოლდშტეინი**
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა
**თვალის ავათმყოფობანი.** ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 12—2 საათამდე და 4—8 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა № 32.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, სქესობრივით და საშვილოსნოს სნეულებებით ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დოლიძისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალის კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 1[illegible] (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—9[illegible]

სამკურნალო კაბინეტი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
**პეპელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი ი. ზ. ქორიევი.
იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდის უბნის ქ. № 3. (24—14)

**კერძო მიხეილის სამკურნალო**
მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

ექიმი ზ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57 [illegible] ცერეთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიძისა. ტელ. № 5—[illegible]

ექიმი ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ ხისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № [illegible] ზემელის აფთიაქის მახლობლათ.

ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიცინ. ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალთა და ვენერიული ავადმყოფთ და იძლევა სახებით [illegible] გზებს. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქ. (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 14—[illegible]

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით გაიხსნა პირველი ქართული
**ბუხჰალტერიის კურსები** ორივე სქესისთვის, წლოვანების განურჩევლათ
**ალ. გ. საათაშვილისა**
ორმაგი ბუხჰალტერია და სხვა საგნები სრული პროგრამით. სწავლა დაიწყება 5 სექტემბერს. პირობის გაგება შეიძლება დილის 10-დან 12 საათამდე, საღამოთი 5 დან 7 საათამდე. მისამართი: თფილისი, დუშეთის ქუჩა, სახლი № 9 (1 სამილიციო უბანი). (4[illegible])

სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით, გოლოვინის ვრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—[illegible] საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.